პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი ხუთშაბათი 21 აგვისტო № 192 (17835) ფასი 2 კაპ.

ქუთაისი

კარგად მუშაობს წლის დამდეგიდან რეზინტექნიკური ნაკეთობათა ქარხნის კოლექტივი. გადაჭარბებით შესრულდა შვიდი თვის დავალება და გეგმის გადამეტებით მომხმარებელს 384 ათასი მანეთის პროდუქცია გაეგზავნა.

სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა ხუთწლედის გეგმა ნოემბრის მეორე ნახევრისათვის შეასრულოს.

მრავალთა მეტოქეობაში პირველობენ № 1 და № 3 საამქროს კოლექტივები, რომლებსაც ს. ვაშაკიძე და ჯ. ბახილაძე ხელმძღვანელობენ. (საპ. კორ.).

ტყიბული

ორჯონიკიძის სახელობის შახტის ნოვატორმა მნგრეველმა, კომუნისტმა გ. ღურბელაშვილმა ხუთწლედის განვლილ ოთხ წელიწადსა და 7 თვეში ქვანახშირის მონგრევის ექვსნახევარი წლის ნორმა შეასრულა. მის მიერ ამოღებული ენერგეტიკული სყთბობის მომხმარებლამდე მიტანას 300 სარკინიგზო ვაგონისაგან შემდგარი ეშელონი დასჭირდა.

პირველი მათ შორის, ვინც ხუთწლედის გმირს პირადი გამარჯვება მიულოცა, იყო მისი მეტოქე სოციალისტურ შეჯიბრებაში, საუნო პარტიული ორგანიზაციის მდივანი ე. სვანიძე, რომელიც სულ მალე შეასრულებს მომავალი ხუთწლედის პირველი წლის დავალებას.

(საპ. კორ.).

ზუგდიდი

ოდიდ შრომითი ამაყული ლობა იგრძნობა ენგურჰესის მშენებლობაზე. წელს მწყობრში უნდა ჩადგეს მეხუთე, უკანასკნელი აგრეგატი. მაგრამ [illegible] ბეგმა გადაჭარბებით, შესრულდა [illegible] ანლა ამ სკკპ XXVI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. ჩატარდა ენგურჰესის მშენებელთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელმაც ახალი განზრდილი ვალდებულება იკისრა. კერძოდ, დაზუტდა მეხუთე აგრეგატის საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადა: იგი ამოქმედდება სსრ კავშირის კონსტიტუციის დღეს — 7 ოქტომბერს. (საპ. კორ.).

ლოზუნგად არც ერთი წამალი უფასოდ!

ახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის საქვეყნოდ სახელგანთქმულ თავმჯდომარეს, სოციალისტური შრომის გმირს მიხაკო ორაგველიძეს ტრიბუნადანაც და კერძო საუბარშიც ხშირად უთქვამს: იმ სოფლელის ოჯახი მეკომფორად ვერ ჩაითვლება, რომლის კარ-მიდამოში ძროხა არ ბღავის და ქათმები არ კრიახობენ. ეს დაუდეგარი კაცი თავისი სიტყვის პატრონია. მისი [illegible]ლმოდგინებითა და ხელშეწყობით სოფელ შრომაში იშვიათია [illegible]თი ოჯახი, რომელსაც ძროხა, ღორი და უამრავი ქათამი არ ყავდეს. თავმჯდომარემ ყველა ოჯახისათვის ხუთწლიანი გეგმა შეადგინა, რომელშიც ერთ-ერთი საპატიო ადგილი საკარმიდამო მეცხოველეობის განვითარებას ეკუთვნის.

სოფელ შრომის ეს ძვირფასი თაოსნობა — „არც ერთი ოჯახი უფასოდ!“ — მთელ მახარაძის რაიონში გავრცელდა. გარდა [illegible]ისა, მახარაძისა და აბაშის რაიონებში იშვა თავისებური მეთოდი [illegible]საკარმიდამო მეცხოველეობის განვითარების წახალისებისა. რას წარმოადგენს ეს მეთოდი? მეურნეობები მოსახლეობას გამოუყოფენ [illegible]ასამუშავებლად საკარმიდამო მიწების ჩამონაწილებს და სხვა გამოუყენებელ ან ნაკლებად გამოყენებულ მიწებს, აძლევენ სესხს [illegible]ტყვის შესაძენად, ხოლო მეურნეობებმა, რომლებსაც ამის საშუალება აქვთ, პირუტყვიც კი შეუძინეს თავიანთ კოლმეურნეებსა [illegible] მუშებს. აი როგორ კარგად მოიფიქრეს ამ რაიონის პარტიულმა, [illegible]ბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა ხორცისა და რძის წარმოებ[illegible] გადიდების გზები.

საერთო საქმისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ საქართველოს [illegible]ომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმის [illegible]დაწყვეტილებათა განხორციელებისათვის გაწეულმა დიდმა შრო[illegible] ნაყოფიც დიდი გამოიღო: მახარაძელებმა უარი თქვეს სახელმ[illegible]ფო ფონდზე ისე, რომ არ შეუმცირებიათ მეცხოველეობის პრო[illegible]ექტების დამზადების გეგმები. მათ მიერ ნაკისრი მოსახლეობის [illegible]უთარი წარმოების მეცხოველეობის პროდუქტებით უზრუნველ[illegible]ოფის ვალდებულება დღითი დღე ხორცს ისხამს.

ეს ყველფერი კარგი და მისასალმებელია, მაგრამ ცუდი ის [illegible]ის, რომ ნამდვილად მისაბაძ, გასაზიარებელ თაოსნობას ზრდამ[illegible]რები ძალზე ცოტანი გამოუჩნდნენ. მეევნახეთა და ღვინის მრეწ[illegible]ლობის მუშაკთა რესპუბლიკურ შეკრებაზე, რომელიც ივნისის დამ[illegible]ებს გაიმართა თელავში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუ[illegible]ის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრა[illegible]ური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ გარ[illegible]ვეთი თქვა: „თქვენ ალბათ მიაქცევდით უურადღებას იმ გარ[illegible]ებულ, რომ ცენტრალური კომიტეტი უკანასკნელი წლებში განსა[illegible]ეთრებულ უურადღებას იჩენს საკარმიდამო მეცხოველეობის მი[illegible]მართ“. ამასთან აღინიშნა ბატონ დამფიქრებელი ფაქტები.

ჩვენს რესპუბლიკაში სოფლად მცხოვრები 527 ათასი კომლი[illegible]ან ძროხა არ ჰყავს 289 ათას ოჯახს, ანუ 46 პროცენტს! ეს ნიშ[illegible]ავს, რომ სოფლად მცხოვრებთა თითქმის ნახევარი ხსენ[illegible]ული [illegible]ია, უმეტესად კი ქალაქიდან ეზიდება ხორცს, კარაქს და მეცხოველ[illegible]ეობის სხვა პროდუქტებს. ვის არ უნახავს მატარებლით, ავტო[illegible]ით თუ საკუთარი ავტომანქანით თბილისიდან რაიონისაკენ მი[illegible]ავალი სოფელელი კაცი, რომელსაც დედაქალაქელთათვის განკუთვნი[illegible] ხორცი, კარაქი, ძეხვი და, თქვენ წარმოიდგინეთ, რძე და მაწო[illegible]ც კი მიაქვს.

[illegible]იმაზე მეტი სირცხვილი რაღაა, როცა სოფელელი კაცი სტუმარს [illegible]ლაჭში ნაყიდი საქონლისა თუ ფრინველის ხორცით, ყველით, [illegible]რაქით გაუმასპინძლდება. ნუთუ ამაზე არ უფიქრიათ გურჯაანის [illegible]აიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებს, გამრჯე მე[illegible]ანეებს, მშრომელებს? ამ რაიონის 19.100 ოჯახიდან ძროხა არ ჰყავს [illegible].100 ოჯახს, ანუ 95 პროცენტს. ეს არც მეტი, არც ნაკლები, უსულ[illegible]ელობა, დაუდეგრობაა. კახეთის რაიონებიდან შედარებით უკეთესი [illegible]დგომარეობა აქვს ლაგოდეხისას, სადაც 10.400 კომლიდან ძროხა [illegible]ავს 4.000 კომლს, ანუ 39 პროცენტს. დანარჩენ რაიონებში კომ[illegible]ა 70-80 პროცენტს ძროხა არა ჰყავთ. ეს იმის ბრალია, რომ [illegible]ბოლოს ზოგიერთმა კოლმეურნეობის ხელმძღვა[illegible]ლმა დაუსაბუთებლად უარი თქვა საკარმიდამოში ძროხების [illegible]ლაზე. „საგანგაშო აქ ისიც არის,— თქვა ე. ა. შევარდნაძემ, — [illegible]ომ პარტიის რაიონული კომიტეტები, საბჭოთა და სასოფლო ორ[illegible]ანოები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად თითქმის არაფერს [illegible] ღონობენ მიუხედავად იმისა, რომ ამ რაიონებში გაცილებით [illegible]ეთესი პირობებია საკარმიდამო მეცხოველეობის განვითარები[illegible]ოვის, ვიდრე, ვთქვათ, მახარაძის რაიონში.

მახარაძისა და აბაშის რაიონების გამოცდილება აქ არ ინერგება, [illegible] ძალიან საწყენია, თუნდაც იმიტომ, რომ ამ მეთოდით უკვე და[illegible]ტერესდა სკკპ ცენტრალური კომიტეტი და ფიქრობენ განაზოგა[illegible]ონ სხვა რესპუბლიკებში“.

კახეთის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეუ[illegible]ეო ორგანოებისათვის, საზოგადოებრივი მეურნეობების ხელმძღვა[illegible]ლებისათვის, სასოფლო საბჭოების აღმასკომებისათვის, ყველა [illegible]რომელისათვის ეს სიტყვები სერიოზული გაფრთხილებაა, და [illegible]ედი უნდა ვიქონიოთ, რომ საკარმიდამო მეცხოველეობის [illegible]ანვითარებისათვის, არა მარტო კახეთის, არამედ მთელი [illegible]საქართველოს ყველა სასოფლო რაიონის ხელმძღვანელ[illegible]ი უახლოეს მომავალში ძველი ღონისძიებებს დასახა[illegible]ნ. პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვა ადამიანე[illegible]ს კეთილდღეობაზე ადგილებზე თავს უნდა იჩენდ[illegible] კონკრეტულ საქმეებში. სოფლად უარყოფის ფენომენებ[illegible]ან ბრძოლა დაუსანელებლად უნდა გახდეს სამეურნეო საქმი[illegible]ანობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ფეხადგენელი ნა[illegible]ილი.

საკარმიდამო (და არა მარტო საკარმიდამო) მეცხოველეობის გა[illegible]ითარება „უსაკვებოდ? რა თქმა უნდა, წარმოუდგენელია. კახე[illegible]ეთ, ქართლის და ზოგიერთი მთის რეგიონის სასოფლო საბჭო[illegible]ა და საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები საძოვ[illegible]ების და საკვების ნაკლებობას იმიზეზებენ. ეს მაშინ, როცა უმე[illegible]ეს სოფლებში საკმაო საძოვრებიც არის და ზამთრისათვის საკვე[illegible]ის მარაგის შექმნის საშუალებაც. განა ამ მხრივ მახარაძისა და [illegible]ბნის, ხობის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, წალენჯიხის რაიონების [illegible]ელებზე უკეთესი მდგომარეობა არა აქვთ გურჯაანის, სიღნაღის [illegible]ელვის, ახმეტის, წითელწყაროს, თეთრი წყაროს რაიონებს, სამ[illegible]ეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, სამხრეთ საქართველოს რე[illegible]ონის მთელი რიგ სოფლებს? რა თქმა უნდა, აქვთ საკმაო მიტი [illegible]ლმოდგენება, დაკისრებული საქმის სიყვარული და, რაც მთავა[illegible], პასუხისმგებლობა ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

საკვების რეზერვი არის. მთავარია ვინ როგორ, რა ხერხით გა[illegible]ნებს და აამოქმედებს მას. მახარაძელებმა, ლანჩხუთელებმა [illegible]წალენჯიხელებმა პალიასტომის ტბის პირას საუკუნეობით დაგაბა[illegible]ულ მიწებს შეუტიეს და სულ მოკლე დროში ათასობით ტონა თი[illegible]ა დაამზადეს, რომელსაც საკარმიდამო მეცხოველეობის განვითა[illegible]ებისათვისაც იყენებენ. ლენტეხის რაიონში სარეველა ბალახისა [illegible]ხის ყლორტების შენარევისაგან სენაჟი დაამზადეს, მთის სა[illegible]ებში გზები გაიყვანეს და საკვების დამზადების საქმე გაიოლეს. [illegible]ეთი რეზერვები თითქმის ყველგან არის და გამჭრიახი კაცის [illegible]ელსა და გონებას ელის.

[illegible]ქმელეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კარგი ხელმძ[illegible]ანელი ის არის, ვინც საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის [illegible]აც საკვები ბაზის შექმნასთან ერთად საკარმიდამო მეცხოველ[illegible]ობაზეც საქმიანად ფიქრობს და ზრუნავს. ამ დღეებში ცხინვა[illegible]ის რაიონის ერიდვის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირმა ნ. ბე[illegible]ეგაშვილმა მეურნეობის ერთ ტონაზე მეტი ბალახი მოითვისა. მას [illegible]ბაძეს მისმა მეზობლებმა ლ. ცოტნიაშვილმა და სხვებმა. ასეთი [illegible]ბრალისა ამბავი მოხდა თამარაშენის საბჭოთა მეურნეობაშიც. თი[illegible]ბ. ქურდებს საკადრისად მოეთხოვებათ პასუხი, მაგრამ რას გვე[illegible]ეინან ამ მეურნეობათა ხელმძღვანელები? რატომ მიიყვანეს ბრი[illegible]ადირი და მეურნეობის მუშები ამ მდგომარეობამდე? მეურნეო[illegible]ს ხელმძღვანელობას დროზე რომ ეზრუნა უხეში საკვებით საკა[illegible]ედამო მეცხოველეობის მომარაგებაზე, გამოეყო სათიბები, მიხ[illegible]ებოდა თიბვაში და უზრუნველეყო ტრანსპორტით, მაშინ, ეს აუ[illegible] საქმეც არ მოხდებოდა.

[illegible]ოსახლეობის კეთილი პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფა [illegible]ელთან ახლოს უნდა მიიტანონ საზოგადოებრივ მეურნეობათა და [illegible]ოფელო რაიონების ხელმძღვანელებმა, რეზერვების გამოძებნი[illegible] და ამოქმედებით ხელი უნდა შეუწყონ სოფლის მშრომელებს, [illegible]ომ სოფლად ალარ იყოს უფურო ოჯახი. ამით ხელს შეიწყობთ [illegible]ართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII და [illegible] ალენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებას — „საქართ[illegible]ელო გახდება მოწინავე მეცხოველეობის რესპუბლიკა!

XXVI სკკპ ყრილობის შესახვედრად

შრომითს ვახტზე დგას რესპუბლიკა

შეჯიბრების დევიზი: ყრილობას ღირსეული ნოგათები!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

მეცხოვრეები: ექვსი წლის გეგმა-ხუთ წელიწადში

ახარის ასს რესპუბლიკის მეცხოველეებმა სკკპ XXVI ყრილობის შესახვედრად აიღრეს ვალდებულება მნიშვნელოვანი გადაჭარბებით დაამთავრონ მეათე ხუთწლედი: ხუთ წელიწადში შეასრულონ ციტრუსის დამზადების ექვსი წლის გეგმა და რესპუბლიკის ყველა მეცხოველეს მოუწოდეს მიბაძონ მათ მაგალითს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ახარის მეცხოველეთა პატრიოტული ინიციატივა და ურჩია მეცხოველეობის რაიონების პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს უზრუნველყონ, რომ ყველა შრომითმა კოლექტივმა ფართოდ განიხილოს და მხარი დაუჭიროს ამ ინიციატივას.

✦✦

ახარის ასს რესპუბლიკის მეცხოველეთა მიმართვა საქართველოს ყველა მეცხოველეთადმი

ძვირფასო ამხანაგებო! სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებები, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება შთაგაგონებს ჩვენ, სუბტროპიკულ მეურნეობათა მშრომელებს, ვიბრძოლოთ ხუთწლედის დამამთავრებელი წლისა და მთლიანად მეათე ხუთწლედის სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებაში ახალ წარმატებათა მიღწევისათვის. ჩვენს ამოცანად მიგვაჩნია ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომპარტიის დაარსების მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, მეთერთმეტე ხუთწლედში წარმატებული მუშაობის მტკიცე საფუძვლის შექმნისათვის.

ახორციელებენ რა სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისისა და მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში ჩამოყალიბებულ მითითებებს, საქართველოს მეცხოველეებმა 1979 წელი აღნიშნეს მნიშვნელოვანი შრომითი წარმატებებით, დაამზადეს რეკორდული მოსავალი — 263 ათასი ტონა ციტრუსი, და ამით 130 ათასი ტონით გადააჭარბეს ხუთწლიანი გეგმის დავალებას.

ამ მიღწევაში ჩვენც, აჭარელ მეცხოველეებსაც მიგვიძღვის წვლილი. 1979 წელს ჩვენ დავამზადეთ 180 ათას ტონაზე მეტი ციტრუსი დაგეგმილი 92,4 ათასი ტონის ნაცვლად. სულ კი ოთხი წლის მანძილზე დამზადებული გვაქვს 474 ათასი ტონა ციტრუსი, ხუთწლიანი გეგმა 77,4 ათასი ტონით არის გადაჭარბებული.

ჩვენ გვესმის, რომ მიღწეული ზღვარი არ არის. საკმარისად გვაქვს რეზერვები ბაღების მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისა და ციტრუსის დამზადების ზრდისათვის. ვალდებულების ვკისრულობთ, რომ ავამოქმედებთ ამ რეზერვებს და ციტრუსის დამზადების წლევანდელ გეგმას ასევე მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შევასრულებთ, რათა მეათე ხუთწლედში სახელმწიფოს ჩავაბაროთ 571 ათას ტონაზე მეტი ციტრუსი, შეძლებისდაგვარად შევმატოთ წვლილი „საქართველოს სს რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულებას, რომელიც ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივით არის მიღებული.

ცხადია, ეს ძნელი ამოცანაა, მით უმეტეს, რომ, ისევე როგორც მთლიანად რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისათვის, ჩვენთვის, მეციტრუსეებისათვისაც უაღრესად არახელსაყრელი ამინდის პირობები იყო. მაგრამ მდიდარი გამოცდილება, რომელიც აჭარელ მეციტრუსეებს აქვთ შეძენილი, შესაძლებლობას გვაძლევს ვიმედოვნებდეთ, რომ ნელსაც უხვ მოსავალს მოვიწევთ და მდიდარი „ნარინჯის რთველი“ გვექნება. მუშაობაში ჩვენი ორიენტირია ჩაქვის ვ. ი. ლენინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეციტრუსეთა მიღწევები, რომლებმაც გასულ წელს საშუალოდ ყოველ ჰექტარ პლანტაციაში 280 ცენტნერი ციტრუსი მოკრიფეს, აგრეთვე ხელვაჩაურის რაიონის, გონიოს, ციხისძირის, ალამბრის, მახინჯაურის, მახვილაურის ციტრუსის საბჭოთა მეურნეობების, მეჯინისწყლის, ახალსოფლის კოლმეურნეობების, ქობულეთის რაიონის დაგვის, ქვედა ულიანოვკის, ზედა ულიანოვკის და სხვა მეურნეობების მშრომელთა წარმატებები, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს ციტრუსის დამზადების სოციალისტური ვალდებულებანი.

შეგნებული გვაქვს ისიც, რომ საზოგადოებრივ სექტორში ციტრუსის საშუალო მოსავლიანობა ჯერჯერობით ნაკლებია, ვიდრე პირად დამხმარე მეურნეობებში. ამის მიზეზი ის არის, რომ საზოგადოებრივ მეურნეობებში სათანადოდ არ უვლიან ნარგავებს. ჩვენს ამოცანად მიგვაჩნია, მკვეთრად გავზარდოთ საზოგადოებრივ მეურნეობათა ხვედრითი წონა ციტრუსის დამზადებაში, უხვმოსავლიანი გავხადოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყოველი ჰექტარი.

ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა გზით უნდა მივაღწიოთ ამას: უკვე მიმდინარე წელს მთლიანად მოვსპობთ პლანტაციების სიმეჩხრეს, ჩინებულად მოვამზადებთ ნარგავებს მომავალი ზამთრობისათვის, ფართოდ გავგახორციელებთ შრომატევადი პროცესის მექანიზაციას, უზრუნველვყოფთ ბაღებს მინერალური და ორგანული სასუქებით, შევქმნით ყველა მეურნეობაში სარეზერვო სახერგეებს. ყოველივე ეს ჩვენგან მოითხოვს დაძაბულ შრომას, განსაკუთრებულ ოპერატიულობას და ორგანიზებულობას მოსავლის აღების პერიოდში.

ვალდებულებას ვკისრულობთ გადაჭარბებით შეასრულოთ მთლიანად მეათე ხუთწლედის და მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის საგეგმო დავალებები — გადავამეტოთ 70 ათასი ტონით, ამასთანავე მოვუწოდებთ რესპუბლიკის ყველა მეციტრუსეს მიბაძონ ჩვენს მაგალითს.

მიღებულია ახარის ასს რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე.

ისევ გარდამავალი დროშა

„კავკასელექტროქსელ ს ბ უ ნ ი ს“ ტრესტის კოლექტივმა მიმდინარე წლის მეორე კვარტლის შედეგების მიხედვით გაიმარჯვა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. მას სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროსა და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭა.

„კავკასელექტროქსელმშენ ტ ა ს“ ტრესტის კოლექტივი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებსა და ქვესადგურებს აშენებს. სამუშაოები სრულდება საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, დაღესტნის, ჩაჩნეთ-ინგუშეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში, სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეებში, აგრეთვე ტამბოვისა და რიაზანის ოლქებში.

წლის პირველ ნახევარში ტრესტის კოლექტივმა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის გეგმა — 116,5 პროცენტით, ხოლო ელექტროგადამცემი ხაზების საექსპლოატაციოდ გადაცემის დავალება 185 პროცენტით შესრულა. მეტად საგულისხმოა, რომ ტრანსფორმატორთა სიმძლავრეების მწყობრში ჩაყენების გეგმა შესრულებულია 330 პროცენტით.

ტრესტის წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს ქუთაისის № 1 და თბილისის № 8, № 54 და № 90 მექანიზებრიგადები კოლონნების კოლექტივებმა.

სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის ტრესტის კოლექტივმა ახალი გადიდებული ვალდებულება იკისრა და გადაწყვიტა ხუთწლედის გეგმის გადამეტებით 6 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შეასრულოს და გაიყვანოს 800 კილომეტრით მეტი ელექტროგადამცემი ხაზი.

ნ. გუნცაძე,
„კავკასელექტროქსელმშენის“ ტრესტის მმართველი.

ეს ანრის, ვენახს ვთელი გულისკენი?

ყურადღება, ჭრაქი!

საუბარი, აშკარად, ვერ გამოგვივიდა. გ. ქურდაძე ხაშურის რაიონის ალის საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი, ისედაც სიტყვაძუნწი კაცი, ახლა სულ დამუნჯდა. თუმცა სათქმელი რა უნდა ჰქონოდა, როცა ხელთ ჭრაქმოდებული ვაზის ფოთლები მიჭირა ბღუჯად?!

მოვიკითხეთ ბრიგადირი გ. მჭედლიძე. გვითხრეს, ნიორს იღებს სხვა ფართობებშიო. ზვრებში „აცეშვილის ჭაჭანება არ იყო.

ნიორი ნივრად, ვაზს კი, თქმა არ უნდა, მეტი რუდუნება და ზრუნვა სჭირდება.

მეურნეობის ნაბახტევის უბნის 220 ჰექტარ ფართობზე ჩინებულად მოვლილი ვენახებიც ვნახეთ. ვ. კუჭაძის ბრიგადის ზვრები სანიმუშოა. შეწამლული, გათოხნილი, ცაგახსნილი. ბრიგადის მშრომელები წლეულს უხვ მოსავალს ელიან. იქვე გ. გელაშვილის ბრიგადის 60 ჰექტარიანი ზვრები კი აბალახებულია.

მეურნეობაში სიმეჩხრე 25 პროცენტს აღწევს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველწლიურად აქ 900-1000 ტონამდე ყურძენს აკლებენ სახელმწიფოს.

სურამის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — გ. ხაჩიძე) ვენახების მოვლის ერთობ საეჭვმანო შეთოდი აურჩევიათ. ვენახები აქ ინდივიდუალურად გაუპიროვნეს კოლმეურნეებს და მათაც არ დაახანეს: მწკრივთაშორის ლობიოს ნათესები გაჩნდა.

ისევე როგორც ალში, სურამის კოლმეურნეობაშიც მაღალია სამეჩხრე.

ხაშურის რაიონმა ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ქვეყნის მარანში 5.610 ტონა ყურძენი უნდა მიიტანოს. ისიც უნდა ითქვას, რომ წინა წლებში აქ ვეგმა, საერთოდ, არ შესრულებულა და წლევანდელი წელი მეგვნახეობაში შეიძლება გარდატეხის წლადაც იქცეს. სამინისტრო რაიონის მეზვრეები ცდილობენ კიდეც, მაგრამ ნაკლოვანებები შრომის საერთო ფონზე ლაქებად რომ მოჩანს, სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

გ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში

გაიმართა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სამდივნოს და ჟურნალისტთა კავშირის თბილისის ორგანიზაციის სამდივნოს გაფართოებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა საკითხს „სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის მზადების ღონისძიებათა შესახებ“.

სხდომას ესწრებოდნენ რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქტორები და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის რეგიონალური ორგანიზაციების თავჯდომარეები.

სხდომაზე აღინიშნა, რომ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის მზადების პერიოდში მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებს დიდი როლი ეკისრებათ შრომელთა დარაზმვაში იმ ამოცანების წარმატებით შესასრულებლად, რომლებიც დაისახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმის დადგენილებაში, ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებასა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „სკკპ XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სამდივნომ მიიღო შესაბამისი დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელებას.

გამოცხადდა ჟურნალ-გაზეთების, ტელევიზიისა და რადიოს სარედაქციო კოლექტივების ღია კონკურსი საყრილობო სოციალისტური შეჯიბრების გასაშლელად გაწეული ორგანიზატორული მუშაობის საუკეთესო დაყენებისათვის. რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო, რაიონული და მრავალტირაჟიანი გაზეთების რედაქციებს რჩევა მიეცათ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს XXVI ყრილობისათვის მზადების პერიოდში ტელეგაზეთ „ეკრანი“ ბევრი ინფორმაციისა და ბრძოლისა და ბრძოლის ფორმა ეფექტიანი ინფორმაციის ბრძოლა.

ბევრ ადგილზე ეკონომიკური ეფექტიანობა ეფექტიანობა.

ეფექტიანობის ბოლოსთვის დაგეგმილია საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პლენუმი, რომელიც განიხილავს ჟურნალისტთა საყრილობო ღონისძიებების განხორციელების მიმდინარეობას.

(საქინფორმი).

ინტერვიუ მოვლენის ფონ

ფოთი — საჰაერო ნავსაყუდელი

თბილისი — ფოთი, ფოთი — სიმფეროპოლი, ფოთი — ოდესა

საქართველოს დიდი საზღვაო ნავსადგური ფოთი მნიშვნელოვანი საჰაერო ნავსაყუდელი ხდება. 22 აგვისტოდან ეხსნება ახალი ავიახაზები: თბილისი-ფოთი და ფოთი-სიმფეროპოლი, ფოთი-ოდესა.

საქინფორმის კორესპონდენტი სადმი ინტერვიუში საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსის პირველმა მოადგილემ გ. ჩიტალაძემ თქვა:

— ფოთის ბანაკი საკავშირო საჰაერო ტრასებზე შესაძლებელი გახდა აეროპორტის რეკონსტრუქციის შემდეგ. დაგრძელდა, კერძოდ, ასფალტ-დასაშვები ზოლი, რაც საშუალებას გვაძლევს მივიღოთ საშუალო რადიუსის ფრენის ისეთი თვითმფრინავები, როგორიც არის იაკ-40 და ლ-410, გარემონტებულია აეროპორტის შენობა, ამენდა სამაერო მიმოსვლის ადგილობრივი საგენტოს ახალი ნაგებობა. ამ საზღვაო ქალაქში თბილისიდან ყოველდღიურად ჩამოვა სამი თვითმფრინავი. ფრენის დრო 50 წუთია.

მივიღეთ გადაწყვეტილება სხვა — ფელავის აეროპორტის რეკონსტრუქციის თაობაზეც, რაც დაგვეხმარება ახლო მომავალში დაეკავშირა ერთმანეთს კახეთის რაიონები რესპუბლიკისა და ქვეყნის ქალაქებთან.

საქართველო დღეს ინტენსიურად განვითარებული ავიაქსელის რესპუბლიკაა. რესპუბლიკის აეროპორტებიდან მარტო ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში 24 რეისი გადის. თბილისი საჰაერო ხიდებით დაკავშირებულია სსრ კავშირის 50-ზე მეტ ქალაქთან, ბულგარეთის დედაქალაქ სოფიასთან, ხოლო გაისად დაუკავშირდება ბულგარეთის მეორე ქალაქსაც — ვარნას. ყოველდღიურად თბილისიდან მიფრინავს 4500 მგზავრი.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა

კავშირმა გაზეთების რედაქციებთან ერთად დაგეგმა ჟურნალისტთა შემოქმედებითი მივლინებები რესპუბლიკის რაიონებში, რათა ასახონ საყრილობო მზადების მიმდინარეობა.

მზადდება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა, რომელიც გაიშვებს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევებს პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

საყრილობოდ გამოიცემა საქართველოს ჟურნალისტთა და რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების მკითხველთა ერთობლივი მიცადენობით შექმნილი წიგნი, რომელიც მეათე ხუთწლედში ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა გარჯის ამსახველი თვალსაჩინო მატერიალი იქნება.

ბევრი საინტერესო და კონკრეტული ღონისძიებები აქვთ დასახული საყრილობოდ ჟურნალისტთა კავშირის რეგიონალურ ორგანიზაციებსაც.

სექტემბრის ბოლოსთვის დაგეგმილია საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პლენუმი, რომელიც განიხილავს ჟურნალისტთა საყრილობო ღონისძიებების განხორციელების მიმდინარეობას.

(საქინფორმი).

საქმეთა გამოაჩინა

მდინარე ენგურის თვალწარმტაცი ხეობაში კაშხალიდან 35 კილომეტრზე შენდება ახალი მიდროელექტროსადგური — ხუდონჰესი, რომლის სიმძლავრე 740 ათასი კილოვატი იქნება. ამჟამად აქ მიმდინარეობს გზებისა და მისასვლელების გაყვანა, მზად არის ავტოსაგზო გვირაბი.

ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე, რომელიც სიმძლავრით მეორე ადგილზე იქნება ენგურჰესის შემდეგ, შრომობენ ახალგაზრდა სპეციალისტები. მათ გამოცდილება შეიძინეს საქართველოს ენერგეტიკული გიგანტის მშენებლობაზე.

სურათზე

„რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში სახელმწიფო დისციპლინის საკითხებზე ანგარიშგების შემდგომი სრულყოფის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 20 ივნისის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ გაწეული მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ იმსჯელა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა.

კომიტეტის სხდომაზე ითქვა, რომ აღნიშნული დადგენილების შესრულების უზრუნველსაყოფად საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს (უფროსი — რ. ბასარია) მიერ გაწეული გარკვეული მუშაობის მიუხედავად, ამ საქმეში კვლავ ვხვდებით სერიოზულ ნაკლოვანებებს. ქვედილის ზომებს არ იღებენ იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მიმართ, რომლებიც ურიგდებიან საანგარიშგებო მონაცემების წარმოდგენის ვადების უხეშ დარღვევებს და დამახინჯებებს.

მაგალითად, შარშან წლის მეორე ნახევარში და წლეულს პირველ კვარტალში საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში დაგვიანებით წარმოადგინეს 12 ათასი ანგარიში, რაც საეჭვოს ხდის რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიუღებელი ანგარიშებიდან 745 ანგარიშიდან ტელეფონით მიღებული იყო 339, შემდგომში კი დადასტურება არ იყო მიღებული 62 ანგარიშზე. მნიშვნელოვანი დარღვევები გამოვლინდა აგრეთვე რეალიზაციისა და მთლიანი პროდუქციის მოცულობაზე სტელეგრაფო და საფოსტო მონაცემებს შორის. მიუხედავად საანგარიშგებო მონაცემების დამახინჯებისა და სხვაობის ასეთი ფაქტების არსებობისა, ისინი არ ხდება რესპუბლიკური ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს კონტროლის საგანი, კონკრეტულად დამნაშავე პირები დაუსჯელი რჩებიან.

სტატისტიკურ ანგარიშებს ხშირად უანალიზოდ, თანამდებობის პირთა ხელმოუწერლად იღებენ, რის შედეგადაც არათუ იშვიათია წამატებებისა და თვალის ახვევის ფაქტები.

მაგალითად, ფორმა № 2-კს 24 ანგარიშიდან მშენებლობის სამინისტრომ შარშან მეოთხე კვარტალში დადგენილი წესის დარღვევით 10 ანგარიში გამოგზავნა. მათ შორის 3 ანგარიში მთავარი ბუღალტრის ხელმოუწერლად, 3 გაურკვეველი ხელმოწერით, 4 კი მიღებული იყო ტელეფონით და დაუდასტურებლად. საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ხაზით № 2-კს 55 ანგარიშიდან 23 მიღებული იყო დარღვევებით.

შემოწმებამ ცხადყო

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის კაპიტალური მშენებლობის სამმართველომ (უფროსი — რ. ჟორჟოლიანი) და საქართველოს მშენებლობის სამინისტროს „სპეცმშენის“ ტრესტმა (მმართველი — გ. გოგელია) შარშან წარმოადგინეს ანგარიშები 80 ათასი კუბური მეტრი სიმძლავრის ჩამდინარე წყლების მექანიკური წმენდის ნაგებობათა ამოქმედების შესახებ, ეს მაშინ, როდესაც შემოწმებისას არც კი ჰქონდათ დამტკიცებული აქტი, ხოლო საქართველოს ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ (გამოთვლითი ცენტრის დირექტორი — მ. გაგუა, კაპიტალური მშენებლობის განყოფილების გამგის მოადგილე — ლ. კაკიაშვილი) დადგენილი წესით გაფორმებული დოკუმენტების უქონლობის გამო აღნიშნული ობიექტის ამოქმედება უჩვენა ფაქტობრივ შესრულებაში.

სახელმწიფო სტატისტიკის ბოლნისის ინსპექტურამ 1979 წლის მეორე ნახევარში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშში უჩვენა, თითქოს მან მოაწყო 20 შემოწმება, მათ შორის მატერიალური სფეროს 7 ობიექტში, და სერიოზული დარღვევები ვერ გამოავლინა, განსერებით შემოწმებისას კი დადგინდა, რომ ინსპექტორს წლის მეორე ნახევარში მატერიალურ სფეროში შემოწმებები საერთოდ არ ჩაუტარებია.

სტატისტიკურ სამმართველოში ანგარიშგების წარმოდგენის ვადებს სისტემატურად არღვევენ საქართველოს სამხატვრო ფონდის თბილისის სახურაოთმოძღვრო კომბინატი (დირექტორი — დ. ურუშაძე), სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს რუსთავის ქიმიური ქარხნის კაპიტალური მშენებლობის სამმართველო (დირექტორის მოადგილე — გ. იაშვილი), საქართველოს მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტი (მმართველი — კ. გოგიჩაიშვილი) და სხვები.

სამმართველოს ცალკეული ადგილობრივი ორგანოები მუშაობენ სუსტად, არ იყენებენ თავიანთ უფლებებს საანგარიშგებო დისციპლინის განმტკიცების და ანგარიშების უტყუარობის უზრუნველყოფისათვის, მათ მიერ ჩატარებული შემოწმებები ხშირად სასურველ შედეგებს არ იძლევა და ფორმალური ხასიათისაა.

რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტმა შემოწმების შედეგები გაუგზავნა საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს და მისი ყურადღება გაამახვილა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 20 ივნისის დადგენილების შესრულების უზრუნველყოფის საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებზე, ამასთან მკაცრად მოსთხოვა სახელმწიფო წესრიგი დაამყაროს ამ საქმეში.

რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამოთვლითი ცენტრის დირექტორს მ. გაგუას გამოეცხადა საყვედური, ხოლო ამავე ცენტრის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების გამგის მოადგილეს ლ. კაკიაშვილს — სასტიკი საყვედური. სასტიკი საყვედური გამოეცხადათ აგრეთვე რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსს რ. ჟორჟოლიანს და საქართველოს მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „სპეცმშენის“ მმართველს გ. გოგელიას.

აღინიშნა აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები საანგარიშგებო დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფის საქმეში და დაავალა მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსს ბ. ზაუტაშვილს განხილოს კონკრეტულად დამნაშავე პირთა პასუხისმგებლობის საკითხი.

სამხატვრო ფონდის თბილისის სახურაოთმოძღვრო კომბინატის დირექტორს დ. ურუშაძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური; სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს რუსთავის ქიმიური ქარხნის დირექტორის მოადგილეს გ. იაშვილს შენიშვნა მიეცა, ხოლო № 1 ტრესტის მმართველი, საქართველოს მშენებლობის მინისტრის მოადგილე კ. გოგიჩაიშვილი მკაცრად იქნა გაფრთხილებული; „საქკონსერვმრეწვის“ მთავარ ბუღალტერს მ. ჩოხელს და „საქმინხილწყლების“ საწარმოო გაერთიანების საგეგმო-ეკონომიკური განყოფილების უფროსს დ. თოლორდავას გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

ზღვა რომ სუფთა იყოს...

როგორ მიმდინარეობს ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა მიხედვით შემუშავებულ ღონისძიებათა განხორციელება შავი ზღვის ფოთის სანაპირო ზოლისა და მდინარეთა წყალსატევების გაჭუჭყიანებისაგან დაცვისათვის, რა ხარვეზებია ამ საქმეში?— აი საკითხები, რომლებზეც იმსჯელეს ფოთის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის სხდომაზე.

უწინდელთან შედარებით ამ მიზნით გათვალისწინებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები უკეთესად ხორციელდება. კერძოდ, დროულად ამუშავდა ხორცკომბინატის ლოკალური კანალიზაცია, ხოლო ქალაქის სამეურნეო-ფეკალური კანალიზაციის მშენებლობა, რომლის პირველი რიგი წლეულს უნდა ჩადგეს მწყობრში, ინტენსიურად გრძელდება.

ამასთანავე კომიტეტმა ყურადღება გამახვილა აღნიშნულ და სხვა მშენებლობებზე, ჯერ კიდევ არსებულ ხარვეზებზე, ზოგიერთ მოუგვარებელ პრობლემაზე. მაგალითად, „კოლხეთმშენის“ ტრესტის № 2 მძრავ-მექანიზებული კოლონა (უფროსი — ნ. თოდუა), რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის საკანალიზაციო ქსელის მშენებლობა, საერთოდ ცუდად არ მარაგდება საჭირო საშენი მასალებით, კონსტრუქციებითა და მექანიზმებით, მაგრამ შემოწმებისას მათ მიღებული არ ჰქონდათ 500-მილიმეტრიანი 1200 გრძივი მეტრი ლითონის მილები, 60 ტონა სხვადასხვა დიამეტრის არმატურა, 315 ათასი ცალი აგური და სატუმბი სადგურისათვის საჭირო გრუნტის წყლების დასაწევი მოწყობილობა.

საწმენდ ნაგებობათა მშენებლობა, რომელსაც „სპეცმშენის“ ტრესტის № 28 მოძრავ-მექანიზებული კოლონა (უფროსი —გ. ჩახვაძე) აწარმოებს, შემკვეთმა სრულყოფილად არ დაკომპლექტა ყველა საჭირო დანადგარითა და ელექტრო-მოწყობილობით, აგრეთვე დამატებითი სამუშაო ნახაზებით.

ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად კომიტეტმა მიიღო სათანადო დადგენილება.

კ. კომახიძე,

ორი ობიექტის ერთი საერთო

ერეკვნელი

როგორ გამოიყურება მუშათა სასადილო?

შემოწმებამ მუშათა სასადილოს მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი გამოავლინა: ბუფეტი არ მარაგდებოდა ძეხვეულით, ყველით, რძის სხვა პროდუქტებით. სასადილოში უხარისხო კერძებს ამზადებდნენ, არ იცავდნენ სანიტარულ ნორმებს, ჭურჭლის რეცხვის ჰიგიენას. მომსახურე პერსონალი უდისციპლინობას იჩენდა, გამგე უ. სულაბერიძე თავს ვერ ართმევდა მუშთა სასადილოს — ამ № 1 საამქროს.

შემოწმების შედეგების განხილვა მწვავე ვითარებაში მიმდინარეობდა სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის ბიუროს სხდომაზე. ბიუროს რეკომენდაციებს მხარი დაუჭირეს. გამგეც შეცვალეს და უხეირო მზარეულებიც. ტრიკოტაჟის თეთრეულის საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელობამ დაიწყო სასადილოს რეკონსტრუქცია, რასაც სარემონტო ბრიგადა ათ თვეს მოუნდა. № 14 სასადილო-გაერთიანება ტექნიკურად აღიჭურვა და კეთილმოეწყო, დაინერგა კომპლექსური კვება.

ამაში დაგვარწმუნა შემოწმებამ, რომელშიც მონაწილეობდა ლენინის რაიონის საბჭოების ტრესტის შესაბამისი სამსახურები, — თქვა პარტბიუროს მდივანმა ნ. ოქროპირიძემ.

პარტბიუროს მდივანი, საერთოდ, მართალია, მაგრამ შემოწმებამ სხვა ნაკლიც გამოავლინა, სახელდობრ ის, რომ ჟაკარდული ქსოვის ფაბრიკის მუშათა სასადილოში, სადაც დაინერგა კომპლექსური სადილების მომსახურება და მუშებს სთავაზობენ ნაირფეროვანი ასორტიმენტის ბოსტნეულის ცივ საუზმეს, მომდევნო დღის მენიუს კი უთანხმებენ ფაბრიკის პროფკავშირის ადგილკომს. არ ეწყობა მუშათა მოკლე, საქმიანი თათბირები, სადაც შეეძლოთ გამოეთქვათ სურვილები და შენიშვნები, რომლებსაც სასადილოს, მუშაკები გთხოვ-ლისწინებდნენ. გარდა ამისა, არის ცალმხრივი შემოწმების ტენდენცია, რაც გაუმართლებელია. საჭიროა მოეწყოს საუკეთესო ტრესტის და მუშათა წარმომადგენლების მონაწილეობით ერთობლივი შემოწმება, რომელიც უთუოდ კომპეტენტური, არსებითი და საფუძვლიანი იქნება, ამავამად ჟაკარდული ქსოვის ფაბრიკის მუშათა სასადილო ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს (ფრიად ვიწროა კერძების გაცვლის უბანი), ფაბრიკის დირექციამ სასადილოს უნდა გაუკეთოს რეკონსტრუქცია, მაგრამ აუცილებლად უნდა შეუთანხმდეს საუკეთესო ტრესტს.

ამრიგად, ორი ობიექტის ერთი საერთო სატკივარია ის, რომ ლენინის რაიონის საუკეთესო ტრესტი ახალი ბოსტნეულითა და სხვა პროდუქტებით რეგულარულად ვერ ამარაგებს მუშათა სასადილოებს. ტრესტის ხელმძღვანელობამ პირველი რიგის საზრუნავად უნდა გაიხადოს მუშათა სასადილოების სისტემატური და შეუფერებელი მომარაგება ისეთი პროდუქტებით, რომლებიც ფართო ასორტიმენტის ნაირფეროვანი კერძების დამზადების შესაძლებლობას იძლევა.

ს. ყურაშვილი,

„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

ორი ობიექტის ერთი საერთო

როგორ გამოიყურება მუშათა სასადილო?

შემოწმებამ მუშათა სასადილოს მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი გამოავლინა: ბუფეტი არ მარაგდებოდა ძეხვეულით, ყველით, რძის სხვა პროდუქტებით. სასადილოში უხარისხო კერძებს ამზადებდნენ, არ იცავდნენ სანიტარულ ნორმებს, ჭურჭლის რეცხვის ჰიგიენას. მომსახურე პერსონალი უდისციპლინობას იჩენდა, გამგე უ. სულაბერიძე თავს ვერ ართმევდა მუშთა სასადილოს — ამ № 1 საამქროს.

შემოწმების შედეგების განხილვა მწვავე ვითარებაში მიმდინარეობდა სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის ბიუროს სხდომაზე. ბიუროს რეკომენდაციებს მხარი დაუჭირეს. გამგეც შეცვალეს და უხეიერო მზარეულებიც. ტრიკოტაჟის თეთრეულის საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელობამ დაიწყო სასადილოს რეკონსტრუქცია, რასაც სარემონტო ბრიგადა ათ თვეს მოუნდა. № 14 სასადილო-გაერთიანება ტექნიკურად აღიჭურვა და კეთილმოეწყო, დაინერგა კომპლექსური კვება.

ამაში დაგვარწმუნა შემოწმებამ, რომელშიც მონაწილეობდა ლენინის რაიონის საბჭოების ტრესტის უფროსი ინჟინერ-ტექნოლოგი ჭ. კოპლატაძე. შემოწმებამ მოიცვა ოცი დღე. ამ პერიოდში გაანალიზებულ კომპლექსურ სადილებში შემავალი კერძების ასორტიმენტის შესწავლით დადგინდა, რომ აღნიშნულ სასადილოში ყოველდღიურად გაიცემა პირველი, მეორე, მესამე თავი კერძები ნაირფეროვნების გათვალისწინებით. მენიუში შედის ორი ვარიანტის კომპლექსური სადილები, ამასთან ტრიკოტაჟის თეთრეულის საწარმოო გაერთიანების ხარჯზე მუშებს უფასოდ ეძლევათ პური. გარდა ამისა, ბუფეტი უზრუნველყოფილია ნაირფეროვანი ცივი საუზმით, კულინარული ნაწარმით, რძითა და რძემჟავა პროდუქტებით, ცხელი სასმელებით, გამაგრილებელი წყლებითა და ნაყინით.

სასადილოს პასუხისმგებელი მზარეულის, ინჟინერ-ტექნოლოგ ლ. ჟიტკოვას პირადი მონაწილეობით ყოველ პარასკევს ეწყობა კულინარული ნაწარმოებ, გამოფენა-ვაჭრობა მუშამოსამსახურეთათვის. გამოფენა-ვაჭრობის სპეციალურ ჟურნალში, რომელიც სავსეა ჩანაწერებით, ასეთი ფრაზა ამოვიკითხეთ: „გამოფენა-ვაჭრობაზე წარმოდგენილი იყო ალუბლის ჟელე, ბოსტნეულის ხაბაობა, დედაქალაქური სალათი, ხორცის სალათი, ნიგზიანი ისპანახი, ლაბასხმული ხორცი, ნიგზიანი ჭარხლის ფოთოლი, ხორცის ლობა, შემწვარი ქათამი, ერბოკვერცხიანი ისპანახი, მოხარშული ქათამი“.

მაგრამ № 14 გაერთიანების მუშაობაში მაინც არის ხარვეზები და ნაკლოვანებანი. ამის შესახებ გაერთიანების დირექტორი ლ. ქართველიშვილი გულისტკივილით ამბობს: საღვიზელი საამქრო კვლავ შესარემონტებელია, რასაც საწარმოო გაერთიანების სარემონტო ჯგუფი აქანურებს; № 14 გაერთიანება ტრიკოტაჟის თეთრეულის საწარმოო გაერთიანების მუშებსა და № 23 პროფტექნიკური სასწავლებლის ოსსაზრდოელებს (600-ზე მეტ კაცს) ემსახურება. თითქმის ყოველდღიურად წყდება წყალი. გაერთიანებას, რომელშიც სამი სასადილო შემოდის (ერთი მშენებარეა), წყლის ცენტრალური რეზერვუარი არა აქვს. ამაზე უნდა იზრუნოს საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელობამ.

აღნიშნული საუკეთესის ტრესტის მიმართ იგივე პრეტენზიები აქვს ჟაკარდული ქსოვის ფაბრიკას, რომლის 700-კაციან კოლექტივს № 19 გაერთიანება ემსახურება (დირექტორი — ი. სიმონიშვილი). ფაბრიკის პარტბიუროს, სახალხო კონტროლის ჯგუფმა, პროფკავშირის კომიტეტმა არაერთხელ შეამოწმეს სასადილოში შექმნილი მდგომარეობა, გამოავლინეს სერიოზული ხარვეზები, (უხარისხო კერძები, სადილის უქვითროდ გაცემა, მზარეულების უპასუხისმგებლობა, სასადილოს გამგის უუნარობა), მიაღწიეს უხეიროთა შეცვლას, მუშაობის ერთგვარ გაუმჯობესებას.

გაცილებით უკეთ უნდა ამბრაგებდნენ ჩვენს მუშათა სასადილოს ლენინის რაიონის საუკეთესო ტრესტის შესაბამისი სამსახურები, — თქვა პარტბიუროს მდივანმა ნ. ოქროპირიძემ.

პარტბიუროს მდივანი, საერთოდ, მართალია, მაგრამ შემოწმებამ სხვა ნაკლიც გამოავლინა, სახელდობრ ის, რომ ჟაკარდული ქსოვის ფაბრიკის მუშათა სასადილოში, სადაც დაინერგა კომპლექსური სადილების მომსახურება და მუშებს სთავაზობენ ნაირფეროვანი ასორტიმენტის ბოსტნეულის ცივ საუზმეს, მომდევნო დღის მენიუს კი უთანხმებენ ფაბრიკის პროფკავშირის ადგილკომს. არ ეწყობა მუშათა მოკლე, საქმიანი თათბირები, სადაც შეეძლოთ გამოეთქვათ სურვილები და შენიშვნები, რომლებსაც სასადილოს, მუშაკები გთხოვ-ლისწინებდნენ. გარდა ამისა, არის ცალმხრივი შემოწმების ტენდენცია, რაც გაუმართლებელია. საჭიროა მოეწყოს საუკეთესო ტრესტის და მუშათა წარმომადგენლების მონაწილეობით ერთობლივი შემოწმება, რომელიც უთუოდ კომპეტენტური, არსებითი და საფუძვლიანი იქნება, ამავამად ჟაკარდული ქსოვის ფაბრიკის მუშათა სასადილო ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს (ფრიად ვიწროა კერძების გაცვლის უბანი), ფაბრიკის დირექციამ სასადილოს უნდა გაუკეთოს რეკონსტრუქცია, მაგრამ აუცილებლად უნდა შეუთანხმდეს საუკეთესო ტრესტს.

ამრიგად, ორი ობიექტის ერთი საერთო სატკივარია ის, რომ ლენინის რაიონის საუკეთესო ტრესტი ახალი ბოსტნეულითა და სხვა პროდუქტებით რეგულარულად ვერ ამარაგებს მუშათა სასადილოებს. ტრესტის ხელმძღვანელობამ პირველი რიგის საზრუნავად უნდა გაიხადოს მუშათა სასადილოების სისტემატური და შეუფერებელი მომარაგება ისეთი პროდუქტებით, რომლებიც ფართო ასორტიმენტის ნაირფეროვანი კერძების დამზადების შესაძლებლობას იძლევა.

ს. ყურაშვილი,

„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

მაესების კონტროლით

ხალხის ფხიზელი თვალი

გვერდი № 161

ზესტაფონის რაიონის მშრომელთა, მთელი პარტიული ორგანიზაციის საბრძოლო ამოცანები ყველაზე უფრო ობიექტური და პრინციპული პოზიციებიდან განისაზღვრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 ოქტომბრის დადგენილებაში ფეროშენადნობთა ქარხნის თაობაზე. მასში კონკრეტულად გამოიკვეთა ჩვენი მომავალი საქმიანობის პროგრამა, მიზნები და ამოცანები.

რაიონის პრობლემების გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კონტროლის მასობრივობასა და ეფექტიანობის ამაღლებას, საერთოდ, მაკონტროლებელი ორგანოების მუშაობის კოორდინაციას, მათ საქმიანობაში პარალელიზმის აღმოფხვრას.

ადრე ბევრი, საინტერესო წინადადება, საქმიანი შენიშვნა და პირუთვნელი საუბარი, რომელთა ავტორები ქარხნის სახალხო კონტროლიორებიც იყვნენ, ურეაგირებოდ რჩებოდა. უფრო მეტიც, სახალხო კონტროლიორთა საქმიანობა უმეტეს შემთხვევაში ყურადღებელყოფილი იყო.

შექმნილი ვითარების უფრო ღრმად გაცნობამ თვალნათლივ დაგვანახვა სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობასა და მათდამი პარტიულ ხელმძღვანელობაში არსებული ნაკლოვანებები, რომელთა აღმოფხვრის ერთ-ერთ ძირითად პირობად პარტიის რაიონულმა კომიტეტმა კონტროლის ორგანოების სტრუქტურის სრულყოფა და კონტროლიორთა ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება მიიჩნია. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ჯგუფებისა და საგუშაგოების შემადგენლობაში კომუნისტთა და კომკავშირელთა ფენის გაზრდას. საარჩევნო კამპანიის შემდეგ ამ ორგანოებში მოვიდნენ ადამიანები, რომლებსაც აქ მუშაობის მორალური უფლება და მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა აქვთ.

რაიონის კონტროლის კომიტეტმა თვითონ იკისრა სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების უმნიშვნელოვანესი პრობლემებისადმი კონტროლი. ამან საგრძნობლად განტვირთა როგორც პარტიის რაიონული კომიტეტის ბიუროს, ასევე რაიონული საბჭოს აღმასკომის მუშაობის დღის წესრიგი. პირველმა შედეგებმა დაამტკიცა, რომ სახალხო კონტროლის ორგანოებს შესწევთ ნებისმიერი პრობლემატური საკითხის გადაწყვეტის უნარი. ამის მკაფიო მაგალითია ის დადებითი ტენდენციები, რომლებმაც ამ ბოლო ხანს იჩინა თავი სახალხო მეურნეობისა და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა უბანზე. რაიონის სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობაში გაიზარდა პროდუქციის წარმოება, გაუმჯობესდა ხარისხი და შემცირდა რეკლამაციები.

როდესაც სახალხო კონტროლის ორგანოების ეფექტიანობაზე ვლაპარაკობთ, შეუძლებელია არ აღინიშნოს საკითხი, რომელიც ეხება ძირეული რგოლების — სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების ენერგიული ამოქმედების პრობლემას. სწორედ ეს გახლავთ ჩვენთვის ყველაზე მთავარი, მიგებებული, მაგრამ ჯერ-ჯერობით არასრულად გამოყენებული რეზერვი, სწორედ ამ საკითხებს მიაპყრობს ყურადღებას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის დადგენილებაში თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის სახალხო კონტროლის ჯგუფების მუშაობის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი გვიჩვენებს, თუ რას ნიშნავს საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა, პრობლემათა არსში ჩაწვდომა. ცხადია, სწორედ ამ ძირეული რგოლების მუშაობის გააქტიურებით და სათანადო წარმართვით შეიძლება სახალხო მეურნეობის ნებისმიერ უბანზე ქმედითი და ყოვლისმომცველი კონტროლის დაწესება, შესრულების შემოწმების უზრუნველყოფა.

გულახდილად უნდა ითქვას, რომ რაიონში საქმე ჯერ კიდევ ვერ გვაქვს ასე დაყენებული. სახალხო კონტროლის სისტემაში ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ფიგურა — „კონტროლიორი ხშირად „გვეკარგება“, და თუ რას ნიშნავს რეგიონი კონტროლიორის მიერ მოტანილი სიკეთე, რა შეუძლია მას, სიფხიზლესა და გულმოდგინებას, ნათლად ჩანს იგივე ფეროშენადნობთა ქარხნის მაგალითიდან, სადაც სახელმწიფო ქონების დაცვებისა და სპეკულაციისათვის სახალხო კონტროლიორებმა ამხილეს სატრანსპორტო საამქროს ყოფილი უფროსი უ. კამლაძე, ხოლო ქარხნის დირექტორის ყოფილი მოადგილე საფინანსო-კომერციულ დარგში ვ. კაკოჩაშვილი ამ საქმის ორგანიზატორიც კი აღმოჩნდა.

სახალხო კონტროლიორის ყოველდღიურ საქმიანობას, მის ყოველ ნაბიჯს საფუძვლად უნდა ედოს ღრმად გააზრებული, პროფილაქტიკური ღონისძიებანი, პრობლემებისა და საკითხების არა უბრალო ფიქსაცია, არამედ საქმის გამოსწორებისათვის, დანაშაულობათა თავიდან აცილებისათვის ზრუნვა. მაგრამ ჯერ კიდევ არიან პიროვნებანი, ვაიხელმძღვანელები, რომელთა მორალი, განწყობა, სულ სხვა საზომებით განისაზღვრება. ლაპარაკია გადაგვარების გზაზე მდგომ ეგრეთ წოდებულ ხელმძღვანელებზე, იმათზე, ვისაც ოჯახისა და ადამიანის ღირსების საქმე მომზეშეჭილობის, ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო მანკიერების სამსხვერპლოზე მიუტანია.

ასეთნაირად გამოამჟღავნა თავისი ნამდვილი სახე სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის მიერ ჩატარებული შემოწმების შემდეგ ზესტაფონის სამეურნეობათაშორისო ღორების გამოსაზრდელი და სასუქებელი საწარმოს ყოფილმა დირექტორმა მ. ყიფიანმა (აქ 217 სულის დანაკლისი აღმოჩნდა).

ან ავიღოთ მეორე შემთხვევა, როდესაც ახალგაზრდა კაცი, პარტიის რაიონული კომიტეტის რეკომენდაციით გაგზავნილი პიროვნება (ზესტაფონის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი ნ. ედიბერიძე), რომელსაც მხარში ამოდგომა და დახმარება არ დაჭლებია, უშეალოდ მონაწილეობდა ქვერცხმდებელი ფრინველის რაოდენობის ხელოვნურად შემცირებაში, ხორცის რეალიზაციის უსაქონლო ოპერაციებში, დიდი რაოდენობით კომბინირებული საკვების დატაცებაში.

ადგილებზე გაშლილი პრაქტიკული საქმიანობა გვაწყმუნებს, რომ სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობა უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი ხდება საბჭოების მუდმივმოქმედ კომისიებთან, პროფკავშირულ ორგანოებთან და „კომკავშირულ პროექტორთან“ ერთობლივი ღონისძიებების შედეგად. სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვიყენებთ მა ეფექტიანად, თუმცა უწინარესად, სწორედ მათზე დაყრდნობით შეუძლია პარტიის, რაიონულ კომიტეტს მორალურ-პოლიტიკური ატმოსფეროს გაუმჯობესება, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცება.

აქვე უნდა აღინიშნოს ამ საქმეში რაიკომის ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ მებრძოლი კომისიის როლი და მნიშვნელობა, რომლის საქმიანობის სწორმა ორიენტაციამ და კოორდინაციამ საშუალება მოგვცა გამოგვენახა არა მარტო ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ფორმები, არამედ არსებულ პრობლემათა გადაჭრის გზებიც.

სახალხო კონტროლის ორგანოების, ჩვენი საზოგადოების ამ მნიშვნელოვანი რგოლების სტრუქტურული დახვეწისა და მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების საკითხი მუდამ იყო პარტიისა და მთავრობის სისტემატური ზრუნვის საგანი. ამის ნათელი გამოხატულებაა სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ ახალი კანონის მიღება, სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და მათდამი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შესაბამისი დადგენილებები.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საპატიო ამოცანათა გადაწყვეტა მხოლოდ საყოველთაო, ერთობლივ მოქმედებას საჭიროებს. ამ მოქმედების ძირითად მამოძრავებელ ძალად ჩვენ ხალხის, საზოგადოების ჭეშმარიტი აზრი მიგვიჩნია, ხოლო მომავალ გამარჯვებათა საწინდრად გვესახება ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენების — სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის მზადების დღეები.

მ. ასლანიკაშვილი,

საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი.

წარმატების საწინდარი

ზესტაფონის სახალხო კონტროლიორთა, ბიუროს, ჯგუფებისა და საგუშაგოების ინიციატივა, ინიციატორ-ლენინელთა ინიციატივა, ინიციატორ-ლენინელთა ინიციატივა, ინიციატორ-ლენინელთა

საერთაშორისო ცხოვრება
ლენინგრადის ზღვრებზე

საკლუბისა და ახალი ამბების სააგენტოს ყორეულ-ბოლშევიკური გაერთიანებული

ზღვები მხოლოდ გულადებს ემორჩილებიან

ბათუმი, 19 აგვისტო (საქინფორმის კორ). არქტიკული „ვარიადის“ — ყინულმჭრელი გემის „ალექსანდრე სიბირიაკოვის“ კაპიტნის ანატოლი კაჭარავას სახელი ვაჟკაცობისა და გმირობის სინონიმი გახდა. „ალექსანდრე სიბირიაკოვი“ მედგრად შეება უთანასწორო ბრძოლაში ფაშისტურ სახაო გემს „ადმირალ შეერს“.

ეს მოხდა ქარიშხლიანი 1942 წლის 25 აგვისტოს. ფაშისტური რეიდერი „ადმირალი შეერი“, რომელიც ოპერაცია „ვენდერლანდს“ ასრულებდა, კარის ზღვაში დაძრწოდა. მეკობრეული ოპერაციის მიზანი იყო ჩაეშალა ნავსონობა ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთელ სიგრძეზე, ჩაეკეტა საბჭოთა კავშირისათვის დიდმნიშვნელოვანი სატრანსპორტო მაგისტარალი, რომელიც აკავშირებდა ფრონტს იმიერპოლარეთისა და შორეული აღმოსავლეთის სამრეწველო საწარმოებთან, ჩაეძირა სატვირთო გემების ქარავნები, რომლებიც დასავლეთიდან ვლადივოსტოკს სრულიასაკენ შეიმართებოდნენ.

მეკობრე პირველმა „სიბირიაკოვმა“ აღმოაჩინა, რომელიც ტვირთითა და მგზავრებით მიემართებოდა ჩრდილოეთი მიწის არქტიკული კონცხისაკენ.

— მოამზადეთ ქვემეხები საბრძოლველად! —გასცა ბრძანება ა. კაჭარავამ. კაპიტანს კარგად ესმოდა, რომ მსუბუქად შეიარაღებული სავაჭრო გემი ვერ გაუძლებდა სახაზო ხომალდის იერიშს, მაგრამ იცოდა ისიც, რომ მხოლოდ ბრძოლით შეიძლებოდა რეიდერის შეყოვნება, რაც შესაძლებლობას მისცემდა მის კვალდაკვალ მომავალ გემების ქარავანს ნისლში მიმალულიყო, გაეფრთხილებინა შექმნილი ვითარების შესახებ საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო სარდლობა. აი უკანასკნელი რადიოგრამა, რომელიც იმ გმირულ დღეს „ალექსანდრე სიბირიაკოვიდან“ გადასცეს დიქსონზე: „ადმირალ შეერმა“ წინადადება მოგვცა დავნებებულიყავით. ჩავებით ბრძოლაში. ანატოლი კაჭარავა“.

ციცხლით მოცული ყინულმჭრელი გემი, რომელმაც მართვა დაკარგა, განაგრძობდა ბრძოლას და კორპუსით ეფარებოდა წყალში ჩაშვებულ მაშველ ნავებს. უკანასკნელი, რაც ნავიდან დაინახეს გადარჩენილმა სიბირიაკოველებმა, იყო გემი, რომელიც იძირებოდა, და მის ანძაზე ამაყად მოფრიალე წითელი დროშა. „ვიღუპები, მაგრამ არ ვნებდები“ ეს სიგნალი, რომელიც მრავალი წლის წინ გადასცა ლეგენდარულმა „ვარიადამ“, გაიმეორა „სიბირიაკოვმა“ თავისი კაპიტნის ბრძანებით.

ეს არის კაპიტან ა. კაჭარავას საბრძოლო გზის მხოლოდ ერთი ფურცელი. სამშობლოს, პარტიის ერთგული რჩებოდა იგი ყოველთვის, ბოლომდე—ტყვეობის მძიმე წლებშიც, სადაც მძიმედ დაჭრილი მოხვდა, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაუყრია. სამხედრო ტყვეებს შორის პროპაგანდისტული მუშაობისათვის ა. კაჭარავა შტუტგოფის საკონცენტრაციო ბანაკში გამამწყვდიეს. განთავისუფლების შემდეგ არქტიკის გმირი განაგრძობდა სამხედრო სამსახურს ბელორუსიის მე-2 ფრონტის მსროლელთა მე-10 გვარდიულ დივიზიის რიგებში, შემდეგ კი ისევ ფლოტში.

მარტო კაპიტნად ყოფნისას მან ზღვაში 30 წელი დაჰყო. და შემთხვევითი როდია, რომ სწორედ ა. კაჭარავას მიანდეს ქვეყანაში ყველაზე ახალგაზრდა სანაოსნო საწარმოს— საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსის პოსტი, რომელიც 1967 წელს შეიქმნა.

12 წელს იმუშავა მან ამ თანამდებობაზე— სანაოსნოს ორგანიზაციისა და ჩამოყალიბების წლებიც, მისი სწრაფი განვითარების წლებშიც.

ა. კაჭარავამ სანაოსნოს საქმაშინ ჩაიბარა, როცა მის სატრანსპორტო ფლოტში სულ 13 ჩასასხმელი გემი იყო, რომელთა საერთო ტვირთამფლობა 90 ათასამდე ტონას შეადგენდა. ახლა 800 ათას ტონაზე მეტი ტვირთამფლობის ათობით თანამედროვე ტანკერი და მადანმზიდი დაკცურავს სამშობლოს დროშით მსოფლიო ოკეანის ყველა განედზე. ისინი შეიყრიან 66 სახელმწიფოს 180 ნავსადგურში.

სანაოსნოს საქმიანობის მთელ პერიოდში არ ყოფილა წელიწადი, რომ მას ვერ შეესრულებინოს საგეგმო დავალებები და სოციალისტური ვალდებულებანი. სანაოსნო თორმეტჯერ გახდა ჩვენი ქვეყნის სანაოსნო საწარმოთა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებული.

სამშობლომ მაღალი შეფასება მისცა ა. კაჭარავას საბრძოლო და შრომითს დამსახურებას. იგი ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენებს, ორი წითელი დროშის ორდენს, შრომის წითელი დროშის ორდენსა და მრავალი მედლის კავალერია.

ახლა ანატოლი კაჭარავა პენსიაზეა. მას 70 წელი შეუსრულდა.

სახელგანთქმული მეზღვაურის პატივისაცემად ბათუმის ზღვისპირა პარკის საზაფხულო თეატრში შეეკრიბნენ აჭარის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, მისი მოწაფეები— ქართველი მეზღვაურები.

საიუბილეო საღამო გახსნა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსმა გ. მ. ჩხეიძემ.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელით იუბილარს დაბადების დღე მიულოცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორეს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუნაძემ.

სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს მისასალმებელი ადრესი ა. კაჭარავას გადასცა სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსმა ე. ბერესოვკიმ.

სახელოვანი კაპიტნის სამხედრო და შრომითს გზაზე მოუთხრო შეკრებილთ საქართველოს საზღვაო სანაოსნოს პარტკომის მდივანმა ო. ფატლაძემ.

საიუბილეო საღამოს დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების გამგე ვ. ბარსუკოვი.

მარქსიზმ-ლენინიზმის მტკიცე საფუძველზე

ულან-ბატორი. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური პრესა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებანი დაწვრილებით აშუქებენ მეგობრული შეხვედრას, რომელიც ყირიმში ჰქონდათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევსა და მონღოლეთის, სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ი. ცედენბალს. აღნიშნავენ, რომ შეხვედრის დროს, რომელშაც მეგობრულ, გულითად ატმოსფეროში ჩაიარა, ორივე პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა ამაყოფილება გამოთქვეს საბჭოთა და მონღოლი ხალხების ურთიერთობის განვითარების გამო, რომელიც ნიადაგ მდიდრდება ახალი ფორმებით.

როგორც მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „უნენი“ აღნიშნავს, ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ი. ცედენბალმა ხაზი გაუსვეს, თუ რაოდენ საჭიროა დაძაბულობის შენელება აზიასა და მსოფლიოს სხვა რაიონებში. აზიაში იგი ეფექტიანად შეუწყობს ხელს მსოფლიო პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებას, წერს „უნენი“.

მონცამეს საგენტო აღნიშნავს, რომ ყირიმის შეხვედრამ კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა მონღოლი და საბჭოთა ხალხების ურღვევი ძმური მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის მატიანეში. ეს შეხვედრა, რომელშაც ცხადყო შეხედულებათა სრული ერთიანობა ურთიერთთანამშრომლობისა და საერთაშორისო პოლიტიკის ყველა განხილულ საკითხზე, აღნიშნავს სააგენტო, მოწმობს, თუ რა მაღალ დონეზე ვითარდება მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ურყევი პრინციპები, და მძლავრ იმპულსს ანიჭებს მის შემდგომ გაღრმავებასა და გაფართოებას.

ამერიკელი იმპერიალისტები და ჩინელი ექსპანსიონისტები, რომლებიც დაძაბულობის ახალ კერებს ქმნიან მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში, ხაზს უსვამს მონცამე, სულ უფრო მეტად ამწვავებენ საერთაშორისო ვითარებას, ახალი მსოფლიო ომის საფრთხეს უქმნიან ქვეყნებს. ასეთ პირობებში საბჭოთა კავშირი და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნები სახავენ მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების, საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის რეალურ გზას. ამის მკაფიო მაგალითია ახალი საბჭოთა ინიციატივა, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევმა გამოიჩინა საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ამასწინანდელი მოლაპარაკების დროს.





ᲐᲠᲚᲕᲔᲕᲔᲜ ᲡᲐᲒᲚᲕᲐᲠᲘ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ

ბერლინი, 20 აგვისტო. როგორც პრესა იუწყება, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პროტესტი გამოთქვა იმის გამო, რომ უკანასკნელ ხანს დასავლეთ გერმანიის თვითმფრინავები სულ უფრო ხშირად არღვევენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეს. უკანასკნელად ასეთი დარღვევები 15 და 17 აგვისტოს მოხდა ზულისა და მაგდებურგის ოლქებში.

ასეთი მოქმედება, აღნიშნულია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, უხეშად არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს, საფრთხეს უქმნის ფრენას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას არაერთგზის განუცხადებია, რომ შეუწყნარებელია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ამგვარი მოქმედება.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კომპეტენტურ ორგანოებს უცხადებს, რომ მათ ეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა შედეგებისათვის, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცის დარღვევას.

Ე. ᲒᲔᲠᲔᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ვარშავა. პოლონეთის პრესის სააგენტომ გავრცელა პოლონეთის ცენტრალური ტელევიზიითა და რადიოთი პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. გერეკის გამოსვლის ტექსტი.

ე. გერეკმა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის შეშფოთება გამოთქვა იმ ამბების გამო, რომლებიც უკანასკნელ ხანს ხდება ქვეყანაში ზოგიერთი საწარმოს მუშაობაში შეფერხებებთან დაკავშირებით, რაც არღვევს ცხოვრების ნორმალურ რიტმს.

ე. გერეკმა აღნიშნა, რომ ქვეყნის წინაშე დგას ეკონომიკური პრობლემები, რომელთა წარმოქმნაში ბევრ ობიექტურ ფაქტორთან ერთად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეკონომიკურ პოლიტიკაში დაშვებულმა შეცდომებმა, და თქვა, რომ საჭიროა თანამიმდევრული ნაბიჯი დაიცვან პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VI ყრილობის ხაზი, რომელიც დადასტურებული იყო პარტიის 1980 წლის VIII ყრილობის გადაწყვეტილებებში, წინადადებანი ამ საკითხებზე უახლოეს ხანში წარედგინება ცენტრალური კომიტეტის სხდომას.

პრობლემების ეფექტიანი გადაწყვეტა დაბრკოლებულია ჩვენი ეკონომიკის შესაძლებლობებით, თქვა შემდეგ ე. გერეკმა. მთელ ჩვენს პოლიტიკაში ვცდილობთ რეალური შემოსავალი შევინარჩუნოთ მოსახლეობას. ამ მიზნისაკენ მიმავალი ერთადერთი გზა უკეთესი მეურნეობრიობა და უკეთესი მუშაობაა. ჩვენს ეკონომიკას ოდიდი ზარალი მოსდის ენერგიის, სათბობისა და მასალების მეტისმეტი მოხმარების, არადამაკმაყოფილებელი დისციპლინის, ნაწარმის მდარე ხარისხისა და სხვა ნეგატიური მოვლენების შედეგად.

შემდეგ ე. გერეკი თავის გამოსვლაში შეეხო ღონისძიებებს, რომლებიც პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ დასახა არსებულ სიძნელეთა დასაძლევად. იგი, კერძოდ, შეეხო ეკონომიკის დაგეგმვისა და მართვის სრულყოფის საკითხებს.

დადასტურ სანაპიროს ზოგიერთ საწარმოში შექმნილ ვითარებას რომ შეეხო, ე. გერეკმა თქვა: ცალკეული უპასუხისმგებლო, ანარქისტული და ანტისოციალისტური ელემენტები ცდილობენ მუშაობაში შექმნილი შეფერხებები გამოიყენონ მტრული პოლიტიკური მიზნებით, გააღვივონ ნეგატიური გაწყრომიერება. ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია, თქვა მან, მთელი სიმტკიცით განვაცხადოთ, რომ პოლონეთში ვერ შეურიგდებით პოლიტიკური და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ ვერანაირ მოქმედებას, ამ პრინციპულ საკითხში ნურავის ნუ ექნება დათმობის, კომპრომისების ან თუნდაც მერყეობის იმედი.

პოლონეთისა და პოლონელთა ბედისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა, განაცხადა ე. გერეკმა, გვაიძულებს შევახსენოთ ყველას ცხადი ჭეშმარიტებანი: სოციალისტური წყობილება განუყრელად არის დაკავშირებული პოლონეთის სახელმწიფო ინტერესებთან. მხოლოდ სოციალისტურ პოლონეთს შეუძლია იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი. სახელმწიფო, რომელსაც ხელმეუხებელი საზღვრები ექნება. ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ წყობილებას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში დამყარებული წესის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ფაქტორია.

დასასრულ ე. გერეკმა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სახელითა მთელ პარტიას, მის წევრებსა და აქტივისტებს, ყველა პოლონელ მშრომელს მოუწოდა გაერთიანდნენ სამშობლოს საკეთილდღეოდ შრომაში.

ᲛᲘᲦᲘᲜᲐᲠᲘᲡᲬᲘᲚᲘ ᲙᲘᲠᲚᲘᲗ

სადათის რეჟიმი და თეთრი სახლის ადმინისტრაცია სულ უფრო ავითარებენ სამხედრო თანამშრომლობას. ამერიკის შეერთებული შტატები აიარაღებს ეგვიპტეს და ცდილობს გადააქციოს იგი თავის პლაცდარმად ახლო აღმოსავლეთში.

ამერიკის შეერთებული შტატები კიდევ უფრო აძლიერებს თავის შეიარაღებას. ახლა მთელი დატვირთვით მუშაობენ ახალი, „მხ“ მობილური საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის შესაქმნელად. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალები უკვე იღებენ სტრატეგიული დანიშნულების რაკეტულ წყალქვეშა ნავებს, რომლებიც აღჭურვილია „ტრაიდენტ-1“ ახალი რაკეტებით. 80-იან წლებში კი მიიღებენ ახალ წყალქვეშა ნავებს, რომლებიც 16-ის ნაცვლად 24 ბალისტიკური რაკეტით იქნება აღჭურვილი.

სურათებზე: ამერიკის შეერთებული შტატებისა და ეგვიპტის სამხედრო-საჰაერო ძალების ერთობლივი მანევრები (მარცხნივ ზემოთ); მორიგი ამერიკული ატომური წყალქვეშა ნავის წყალში ჩაშვება ქალაქ გროტონში (კონექტიკუტის შტატი).

საკლუბის ფოტოქრონიკა.



ოკეანისგაღმელი დირიჟორის გამოსვლა სიონისტური ორკესტრის თანხლებით.

ნახატი კუბის ჟურნალ „პლანტედან“.

ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲔᲑᲔᲜ ᲣᲐᲠᲧᲝᲜ „ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐ“

ბერლინი, 20 აგვისტო. სახალხო ერთიანობის ბლოკის აღმასრულებელმა სამდივნომ მოუწოდა ყველა ჩილელს 11 სექტემბრის რეფერენდუმზე უარყონ ფაშისტური ხუნტის ახალი „კონსტიტუცია“.

აღმასრულებელი სამდივნოს განცხადებაში, რომელიც აქ გავრცელეს, აღნიშნულია, რომ პლებისციტისათვის მზადების დროს ხუნტამ უპრეცედენტო მასშტაბის ტერორი გააჩაღა ქვეყნის მოსახლეობის წინააღმდეგ. ჩილეში არ წყდება დაპატიმრებანი და მკვლელობანი. ეს რეპრესიები უწარეს ყოვლისა მიმართულია პროფკავშირების, დემოკრატიულად განწყობილი პოლიტიკური მოღვაწეების, ქალთა და ახალგაზრდობის ორგანიზაციების აქტივისტების, აგრეთვე კათოლიკური ეკლესიის თვალსაჩინო წარმომადგენლების წინააღმდეგ.

ფაშისტური დიქტატორის თვალისასახვევი მანევრების პასუხი, ხაზგასმულია განცხადებაში, უნდა გახდეს მხოლოდ დიქტატორული რეჟიმის დამხობისათვის გაჩაღებული ბრძოლის გაძლიერება.

ᲛᲖᲐᲓᲓᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲕᲐᲜᲢᲘᲣᲠᲐ

ნიუ-იორკი, 20 აგვისტო. ცნობილმა ამერიკელმა მიმომხილველმა ჯ. ანდერსონმა განაცხადა, რომ მიიღო ძნელი გადაწყვეტილება — გამოექვეყნებინა ირანში შეჭრის თეთრი სახლის მიერ შემუშავებული ახალი გეგმის დეტალები. „ამ გეგმის პოლიტიკურმა ხასიათმა და იმან, რომ იგი ალბათ მარცხით დამთავრდება, გადამაწყვეტინა გამემხილა მისი დეტალები“, — თქვა მან ჩიკაგოში გამოსვლისას.

ანდერსონმა ხაზი გაუსვა, რომ პრეზიდენტმა კარტერმა ეს სამხედრო ოპერაცია დანიშნა ოქტომბრის შუა რიცხვებისათვის, რათა მაქსიმალური უპირატესობა გაიანადოს ხელახლა არჩევისათვის ბრძოლის პროცესში. ასეთი არაადამიანური აქციის მეშვეობით, რომელმაც შეიძლება შეიწიროს მისი მონაწილენი და ირანელები, პრეზიდენტი კარტერი იმედოვნებს აიმაღლოს პოპულარობა, რომელსაც თანდათანობით კარგავს ქვეყნის მოსახლეობაში.

კარტერმა, თქვა მან, ბრძანება გასცა პირველად მომდინარე წლის აპრილში ცდილობენ ამერიკელი მძევლების განთავისუფლებას იმიტომაც, რომ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების მიხედვით მისმა პოპულარობამ მკვეთრად იკლო. ანდერსონმა გაიხსენა, რომ ამ ჩაშლილი ოპერაციის დროს რვა ამერიკელი დაიღუპა. მისი თქმით, კარტერი „ახლა შეუდგა შეზღუდული შეჭრისათვის მზადებას“, ვინაიდან იგი „ასეთ შემთხვევებში პოლიტიკური კატეგორიებით აზროვნებს ხოლმე“.

მაგრამ ბევრ სპეციალისტს, განაცხადა მიმომხილველმა, მიაჩნია, რომ ეს ოპერაცია, რომლის შემუშავებაში უკვე გავლილია ერთი საკონტროლო პუნქტი, ჩასაფშვავად არის განწირული.

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲤᲕᲔᲜᲐ

გუდაპეშტი, 20 აგვისტო. 25 ქვეყნის ალმები აფრიალდა უნგრეთის დედაქალაქის საგამოფენო უბნის ცენტრალურ მოედანზე. აქ გაიხსნა ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. მრავალ პავილიონში და ღია სადემონსტრაციო მოედნებზე, რომლებიც 100 ათას კვადრატულ მეტრ ფართობზეა გადაშლილი, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის დარგში თავიანთ მიღწევებს აჩვენებს უნგრეთის 100 და საზღვარგარეთის 120 ფირმა და გაერთიანება.

სპეციალისტები და გამოფენის სტუმრები, სავაჭრო ორგანიზაციათა წარმომადგენლები გაეცნობიან მემცენარეობის, მეცხოველეობის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მიკრობიოლოგიისა და მელიორაციის დარგის მიღწევებს.

საგამოფენო უბნის სტუმართა დიდ ინტერესს იწვევს საბჭოთა განყოფილება, სადაც 3 ათასამდე ექსპონატია წარმოდგენილი.

გამოფენის მუშაობის დროს გაიმართება პროგრესული გამოცდილებისა და მოწინავე ტექნოლოგიის ურთიერთგაზიარება.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ

ლისაბონი. პორტუგალიის მთავრობა უნდა გადადგეს. კომუნისტთა ეს მოთხოვნა განსაკუთრებით აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც საზოგადოებრიობამ შეიტყო დიდი ფინანსური სკანდალი, რომელშიც უშუალოდ არის გარეული პრემიერ-მინისტრი სა კარნეიროუ. ეს განაცხადა ქალაქ კო

კავშირგაბმულობის სიახლენი

დეპეშები ავტომატურად

ჩვენი რესპუბლიკის სატელეგრაფო კავშირის განვითარებაში ახალი ეტაპი დაიწყო. თბილისის ცენტრალური ტელეგრაფის პირდაპირი ავტომატური სადგური პირველი მაგისტრალური არხებით დაუკავშირდა ქვეყნის ასეთივე სისტემის სადგურებს, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კავშირგაბმულობის განყოფილებები უშუალოდ უცვლიან დეპეშებს მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, როსტოვის, ბაქოს, ერევნის, ვორონეჟის, არხანგელსკის, მინსკის, ლვოვის, ტაშკენტის, რიგისა და სხვა ქალაქების კავშირგაბმულობის განყოფილებებს.

ახალი ტექნიკური ხერხით დეპეშების „მოგზაურობა" რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მკვეთრად გაზრდის არა მარტო გადაცემის სისწრაფეს და შეამცირებს აღრესატებისათვის შათი ჩაბარების დროს, არამედ უზრუნველყოფს კიდეც გადაცემული ტექსტის სიზუსტეს.

ვთქვათ, თბილისში მელიქიშვილის ქუჩაზე მდებარე კავშირგაბმულობის განყოფილებიდან საჭიროა დეპეშის გადაცემა მოსკოვის რომელიმე კავშირგაბმულობის განყოფილებაში. თბილისელი ტელეგრაფისტი ჯერ მოსკოვის ტელეგრაფის კოდს და შემდეგ მოსკოვის იმ კავშირგაბმულობის ინდექსს კრეფს, სადაც დეპეშაა გადასაცემი. აღრე კი თბილისის კავშირგაბმულობის განყოფილებიდან დეპეშა ჯერ ადგილობრივ (ცენტრალურ ტელეგრაფში იგზავნებოდა, შემდეგ მოსკოვის ცენტრალურ ტელეგრაფში, იქიდან კი მოსკოვის კავშირგაბმულობის სათანადო განყოფილებას გადაეცემოდა.

თბილისის პირდაპირი შეერთების ავტომატური ტელეგრაფის სადგური საშუალებას იძლევა რესპუბლიკის სხვა ქალაქების კავშირგაბმულობის განყოფილებიდანაც ავტომატურად და უშუალოდ გადაიცეს დეპეშები ქვეყნის სხვა ქალაქებში. მაგრამ ავტომატური ტელეგრაფის სადგური მარტო გამოვალი არხებით არ არის დაკავშირებული ქვეყნის სხვა სადგურებთან. ამ სადგურებიდან მასში შემოდიან ეგრეთ წოდებული შემომავალი მაგისტრალური არხები. ამიტომ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მდებარე კავშირგაბმულობის განყოფილებებიც ავტომატურად და უშუალოდ უერთდებიან რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე კავშირგაბმულობის განყოფილებებს.

ვთქვათ, ლენინგრადის ერთერთ კავშირგაბმულობის განყოფილებაში მოქალაქემ კასაში გასაგზავნი დეპეშა მიიტანა. ტელეგრაფისტი აპარატზე აკრეფს ჯერ ინდექსს „212" (ეს თბილისის პირდაპირი შეერთების სადგურია) და მერე კი ციფრს „532", რომელიც კასპის „მისამართია". ლენინგრადის ტელეგრაფის აპარატი უშუალოდ შეუერთდება კასპის კავშირგაბმულობის კვანძში დადგმულ ტელეგრაფის აპარატს.

პირდაპირი შეერთებების ერთიან ავტომატიზებულ ქსელში დღეს ჩაირთო რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე კავშირგაბმულობის განყოფილებებში და კავშირგაბმულობის კვანძებში დადგმული ტელეგრაფის აპარატები. ეს მართლაც მნიშვნელოვანი მოვლენაა რესპუბლიკაში სატელეგრაფო კავშირის შემდეგომი განვითარების საქმეში.

სავსებით ცხადია, რომ ამ საქმეში მთავარ როლს თბილისის პირდაპირი შეერთების ავტომატური სატელეგრაფო სადგური ასრულებს. მისი მრავალრიცხოვანი კოორდინატული სისტემის მქებელები ზუსტად აერთებენ ერთმანეთთან ათასობით კილომეტრით დაშორებულ ტელეგრაფის აპარატებს.

ავტომატური სატელეგრაფო სადგურის ურთთულესი მოწყობილობა-დანადგარები იუგოსლავიის კავშირგაბმულობის ტექნიკის სამრეწველო გაერთიანებაში „ნიკოლა ტესლაში" დამზადდა და მათიგე სპეციალისტების დახმარებით დამონტაჟდა.

გაერთიანება „ნიკოლა ტესლას" პირდაპირი შეერთებების ავტომატური ტელეგრაფის სადგურები დადგმულია ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებშიც და სწორედ მათთან არის დღეს თბილისის ტელეგრაფის სადგურის მაგისტრალური არხების მთელი ქსელი გაბმული.

მაგისტრალური არხების რაოდენობის შემდგომი გაზრდა თანდათან უფრო ეფექტიანს გახდის პირდაპირი შეერთების სისტემას და უფრო მეტი რაოდენობის დეპეშები გაიცვლება ასეთი ხერხით, — ამბობს თბილისის ცენტრალური ტელეგრაფის მთავარი ინჟინერი დავით ქავთარაძე.

დამტკიცებულია, რომ სატელეგრაფო კავშირების სისტემებს შორის ყველაზე ეფექტიანია სწორედ პირდაპირი შეერთების სისტემა. ამ სისტემის ფართოდ დანერგვა სასარგებლოა ეკონომიკური თვალსაზრისითაც. ეს სიახლე ტელეგრაფისტების შრომის ნაყოფიერებას დაახლოებით 1,5-ჯერ ზრდის.

რესპუბლიკაში ახალი სატელეგრაფო ტექნიკის დანერგვის დაწყების საქმეში და საექსპლოატაციოდ მის გადაცემაში თავი გამოიჩინეს საბორნენტო და პირდაპირი კავშირების საამქროს უფროსმა რ. აზიზიანმა და ამავე საამქროს უფროსმა ინჟინერმა ა. ფოფხაძემ, საბაპარატოს ტექნიკური მომსახურების საამქროს უფროსმა ნ. მაისურაძემ, საამქროს უფროსმა ინჟინერმა ვ. კალაძემ, საწარმოო ლაბორატორიის ხელმძღვანელმა კ. იმნაძემ, ლაბორატორიის უფროსმა ინჟინერმა ც. ოთარაშვილმა, სატელეგრაფო არხების საამქროს უფროსმა ჯ. ბოჭორიშვილმა, უფროსმა ინჟინერმა ა. გრიშენკომ და სხვებმა.

თბილისის ცენტრალური ტელეგრაფის ხელმძღვანელობამ (უფროსი — მ. ედილაშვილი, უფროსის მოადგილე ექსპლოატაციის დარგში — გ. ბაქრაძე) თავის დროზე მიიღო ზომები პირდაპირი შეერთების ავტომატური ტელეგრაფის სადგურის სათანადო კადრებით დაკომპლექტებისათვის. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მაგისტრალური არხების, რაოდენობის გაზრდის შემდეგ მთლიანად დაკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას.

ა. კარბელაშვილი.

გმადლობთ, საქართველო!

რამდენიმე ბარკეთი რესპუბლიკის ფოსტიდან

დიმიტრი კაბალევსკი,
კომპოზიტორი, ლენინური პრემიის ლაურეატი

„სულით და გულით მოგილოცავთ დიდ წარმატებას, რომელიც წილად ხვდა საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის სახლის გუნდის გამოსვლას ვარშავაში იუნესკოსთან არსებული მუსიკალური აღზრდის საერთაშორისო საზოგადოების მე-14 კონფერენციაზე. გუნდის ხელმძღვანელმა ანზორ ერქომაიშვილმა მოამზადა საინტერესო, მრავალფეროვანი პროგრამა, რომელშიც შედიოდა ქართული ხალხური, აგრეთვე პოლონური და იაპონური სიმღერები, საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებები.

გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან კონფერენციაზე ჩამოსულ ბავშვთა კოლექტივებს შორის იგი ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო იყო!

კონფერენციის მონაწილენი — ოცდაათი ქვეყნის გამოჩენილი პედაგოგები და სკოლის მასწავლებლები აღფრთოვანებული იყვნენ ქართული მუსიკის არაჩვეულებრივი სიხალისითა და თავისთავადობით, გუნდის მონაწილეთა ოსტატობით, შესაშური სიმსუბუქით და ბუნებრივობით რომ ასრულებდნენ რთულ, მრავალხმიან მუსიკას.

გუნდს შესანიშნავად დირიჟორობდა ანზორ ერქომაიშვილი.

კონფერენციის პლენარულ სხდომაზე დიდი ინტერესითა და მოწონებით მოისმინეს ო. თაქთაქიშვილის შინაარსიანი მოხსენება თემაზე „ეროვნული კულტურა — როგორც მუსიკალური აღზრდის საფუძველი".

✦ ✦

ბ. არისტოვი,
სსრ კავშირის ელჩი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში

„ამ ბაფხულს პოზნანის ბაზრობაზე დიდი წარმატებით სარგებლობდა განყოფილება „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა", რომელიც სსრ კავშირის პავილიონში მოეწყო. მას მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა მთავრობის დელეგაციამ, რომელსაც მეთაურობდა სსრ კავშირის ფინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. სმირნოვი.

განყოფილებამ „საბჭოთა საქართველო" მიიღო საბაზრო კომიტეტის მაღალი შეფასება და ვერცხლის medal — „ოქროს medal".

✦ ✦

ა. მატვეევი,
სსრ კავშირის დროებითი საქმეთა რწმუნებული პორტუგალიის რესპუბლიკაში

„მიიდინარე წლის ივლისში ეპანეთის შვიდ და პორტუგალიის ხუთ ქალაქში დიდი წარმატებით ჩაიარა ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბავშვთა მხატვრული კოლექტივის „ცისარტყელას" გამოსვლებმა. ბავშვების შესანიშნავმა ნიჭმა, მაყურებელთან უშუალო ცოცხალი ურთიერთობის უნარმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მათ სსრ კავშირის მეგობრობის აღიარება და მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

გულითად მადლობას ვუძღვნით ყველა ამხანაგს, ვინც კოლექტივი მოამზადა".

✦ ✦

კიულიკი სალმენჯაარა,
პროფესორი (ფინეთი)

„მხატვარმა-კერამიკოსმა ნანა ბოტკოველმა მოგვაჯადოვა თავისი ნამუშევრებით. ფერადოვანი შემოქმედების მეშვეობით მან გაგვაცნო შობელი ხალხის ისტორია და ხელოვნება. ჩვენთვის საინტერესო იყო გაგვეგო თუ რა დიდი შესაძლებლობები ჰქონია საქართველოში ხელოვნებას, რომელიც დაფუძნებულია ძველ და მდიდარ ტრადიციებზე, რა ცხოველ ინტერესს იჩენენ თქვენს ქვეყანაში ხელოვნების მიმართ. ბოტკოველის შემოქმედებამ საშუალება მოგვცა აგვეძაღლებინა ჩვენი ცოდნის დონე და ბევრი რამ ახალი გავეგო საბჭოთა საქართველოს შესახებ". (საქინფორმი).

ლამის ძლიერი ჭექა-ქუხილი

გუშინწინ ღამით თბილისელები არაჩვეულებრივად ძლიერ წვიმის ხმაურმა გამოაღვიძა. ეს იყო ნამდვილი ტროპიკული კოლისპირული წვიმა. აგვისტოს ჭექა-ქუხილმა მთელ საქართველოს ტერიტორიას გადაუარა და ცხოველმყოფელი წვიმით მორწყა გვალვით გადახრილკოული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს აცნობა ამინდის ბიუროს უფროსმა ინჟინერმა ნ. გიორგაიამ, წვიმები გამოწვეული იყო შავი ზღვის სანაპიროდან ჰაერის ცივი მასების შემოჭრით. ყველაზე მეტი ნალექი მოვიდა დასავლეთ საქართველოში—ფოთში— 60 მილიმეტრი, ბათუმში— 35 მილიმეტრი. 19 აგვისტოს ღამით თბილისში მოვიდა 10 მილიმეტრი ნალექი — ჩვეულებრივი ნორმა წელიწადის ამ დროისათვის.

სექტემბერი ახლოა



წლის ყოველ დროსა და თვეს თავისი განსაკუთრებული საზრუნავი აქვს, მაგრამ მათ შორის სექტემბერს მაინც გამორჩეული ადგილი უკავია. ჯერ ერთი, რომ სექტემბრის მობრძანება შემოდგომის ჩამოდგომას გვაუწყებს, ბარაქიანი და ღალიანი შემოდგომისა, რომელიც წლის ჭირნახულს დააბინავებს და ზამთრის თადარიგსაც დაიჭერს. მეორეც ის, რომ სექტემბრით იწყება ყოველი ახალი სასწავლო წელი, ახალი სიხარულით, ახალი ფიქრებითა და იმედებით სავსე, ახალი საზრუნავით დატვირთული.

ბრუნდებიან შრომითი ბანაკებიდან და მშენებლობებიდან ახალგაზრდები, პიონერთა ბანაკებიდან — მოზარდები. სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები, პედაგოგები მოუთმენლად მოელიან თავიანთ აღსაზრდელებს.

ხალხმრავლობაა წიგნების მაღაზიებში. სახელმძღვანელობები, სხვადასხვა ხასიათის ლიტერატურა, სასწავლო და საკანცელარიო საქონელი ამ დღეებში დიდი როდენობით იყიდება.

მყიდველთა უკეთ მომსახურების მიზნით „საქნიგნის" სამმართველოს გადაწყვეტილებით თბილისში ყველა რაიონის წიგნის ცენტრალურ მაღაზიებთან მოეწყო საშემოდგომო ბაზრობა. ამ გარემოებამ დიდად შეუწყო ხელი ახალი სასწავლო წლისათვის გაცხოველებულ მზადებას.

წიგნის საშემოდგომო ბაზრობაზე თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს „საქნიგნის" კალინინის რაიონის ზონალური გაერთიანების თანამშრომლებმა, რომლებიც ყოველდღიურად საშუალოდ 2.000 მანეთის საქონელს ჰყიდიან. გაერთიანებამ, რომელსაც წიგნის ვაჭრობის 9 მაღაზია და 20 ჯიხური ეკუთვნის, მიმდინარე წლის მეორე კვარტალში საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა. მათ ივნისის თვეში შეასრულეს მეათე ხუთწლედის მთლიანი გეგმა და ახლა მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში მუშაობენ. მარტო მიმდინარე წლის გეგმის მიხედვით მათ უნდა გაყიდონ 2.645 ათასი მანეთის საქონელი.

კალინინის რაიონის ცენტრალური წიგნის მაღაზია „საუნჯეში" გულისხმიერებითა და მაღალი კულტურით გამოირჩევიან გამყიდველები — კომუნისტი თ. ყუშიტაშვილი, კომკავშირელები გ. ვაჭარაძე, ნ. გულაღაშვილი და სხვები. მათ წიგნის საშემოდგომო ბაზრობაზეც ისახელეს თავი.

ბ. ხუციშვილი.

● ●

სურათზე: ყოველთვის ხალხმრავლობაა რუსთაველის პროსპექტზე წიგნის მაღაზია „საუნჯესთან" მოწყობილ საშემოდგომო ბაზრობაზე.

ს. კილაძის ფოტო.

ტელევიზია

21 აგვისტო

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" (მ.), 18.00 — მულტიმედიაციური ფილმი, 18.15 — განცხადებები, 18.20 — მოსწავლეთათვის — „მზეც მღერის და ღრუბლის ფთილაც" (ფ.), 18.40 — „ადამიანი — საზრუნავი უპირველესი" (ფ.). 19.00 — „მომამზე" (ფ.), 19.30 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში. თბილისის „დინამო" — ოდესის „ჩერნომორეცი". რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონიდან (ფ.), შესვენების დროს — კინონარკვევი, 21.15 — „მელრის ედიშერ მირიანაშვილი". 21.45— უფროსებისათვის — მულტიმედიაციური ფილმები, 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში. მოსკოვის „ლოკომოტივი" — მოსკოვის „სპარტაკი". მეორე გაიმის რეპორტაჟი მოსკოვიდან, 23.20 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 17.30 — „გლობუსი" (ფ.), 18.20 — განცხადებები, 18.25 — მხატვრული ფილმი „დიადი ღამე — დიადი დღე" (ფ.).

ჭადრაკის დაფებთან

ქალაქ ლენინგრადში ჩატარდა XXV კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა 48-ე ჩემპიონატის შეჯარიგება ტურნირები. მერვე ტურის ამასარეობთან მონაწილე საქართველოს სპორტსმენთა შედეგები ასეთია:

დნეპროპეტროვსკი. აზმაიფარაშვილმა დაამარცხა მალანიუკი, ხოლო სტუროკა დაუზავდა ანსტლერს. ანალოგ ლიდერობს ვასიუკოვი, რომელმაც 8 შესაძლებლიდან 6 ქულა დააგროვა.

კრასნოდარი. უბილავამ პარტია გადასდო. აქ ლიდერობს ციშკოვსკი — 5 ქულა 7. შესაძლებლიდან.

კრასნოიარსკი. თბილისელმა გუფელდმა დორფმანთან შეხვედრა ყაიმით დაამთავრა. ლიდერობს ფსახისი— 5,5 ქულა 8 შესაძლებლიდან.

ტალინი. მაია ჩიბურდანიძემ მერვე ტურის შეხვედრა გადასდო. ლიდერობენ დვოირისი, ოსნოსი და ჩეხოვი— 5-5 ქულა 8-8 შესაძლებლიდან.

მოზაიდრაკე ქალთა ანალოგიური ტურნირები მიმდინარეობს გომელსა და კიშინიოვში. გომელში 5,5 ქულით (შვიდიდან) ლიდერობს ტ. ბელოვა, ხოლო კიშინიოვში— თბილისელი ქ. მელაშვილი— 6,5 (შვიდიდან).

მეხიკოში დაიწყო ახალგაზრ. და მოჭადრაკეთა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი. სსრ კავშირისა და შოტლანდიის ნაკრები გუნდების შეხვედრაში დაწინაურდნენ საბჭოთა სპორტსმენები—2:1 ადრიან მიხალჩინაზა გაიმარჯვა. არტურ იუსუფოვმა და ალექსანდრე კოჩიევმა თავიანთი შეხვედრები ყაიმით დაამთავრეს, ხოლო სერგი დოლმატოვმა პარტია გადასდო. ჩემპიონატის მონაწილე 25 გუნდი დაყოფილია 5 ქვეჯგუფად.

ბუენოს-აირესში გაიმართა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩის მეცამეტე პარტია პოლოგაევსკისა და კორჩნოის შორის. 63-ე სვლაზე ყაიმი აღინიშნა. ანგარიშია 6,5:6,5.

იბალიის ქალაქ აბანო-ტერმეში გრძელდება ასეთივე ნახევარფინალური მატჩი პორტიშსა და ჰიუბნერს შორის. მეტოქეთა მეცხრე პარტია გადაადო და ანგარიში აქვთ 4:4.

ფილიპინების ქალაქ ბაგიოში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ საბჭოთა დიდოსტატები ვასილ სმისლოვი და თამაზ გიორგაძე. ისინი ერთმანეთს პირველ ტურში შეხვდნენ და ყაიმზე შეთანხმდნენ.

დორტმუნდში მომდინარე იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატში ლიდერობს ბაქოელი გარი კასპაროვი. მან პირველ სამ ტურში სამივე პარტია მოიგო.

მეოცე ტური

დღეს გაიმართება უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეოცე ტურის რვა მატჩი. „ფახთაქორი" უმასპინძლებს „ნეფთჩის", კიევის „დინამო" — „ყაირათს", „შახტიორი" — „არარატს", „ყუბანი" — ცსკას, მინსკის „დინამო" — „კარპატს", „ტორპედო" — „სპარტაკს", დონის როსტოვის არმიელთა გუნდი — „ზენიტს", ხოლო თბილისის „დინამო" — „ჩერნომორეცს". ხვალ ტურის ბოლო მატჩია. ერთმანეთს ხვდებიან „ლოკომოტივი" და მოსკოვის „დინამო".

გუშინ გაიმართა თბილისის „დინამოსა" და „ჩერნომორეცის" დუბლიორთა შეხვედრა. თბილისელებმა გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით — 5:1. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს ჩქარეულმა, ჯოხაძემ, ცავამ, მეშკოვმა და კერესელიძემ.

მეორე ლიგაში

გაიმართა მეორე ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ასპარეზობის ოცდამეერთე ტურის მატჩები. ამ ასპარეზობაში მონაწილე საქართველოს გუნდების შეხვედრათა შედეგები ასეთია: გორის „დილა"-სამტრედიის „ლოკომოტივი" — 3:3, რუსთავის „მეტალურგი"-კიროვაბადის „პროგრესი" — 2:0, ზუგდიდის „დინამო"-ბათუმის „დინამო" — 0:2, სოხუმის „დინამო"-ფოთის „კოლხეთი" — 4:0.

ოცდაერთი ტურის შემდეგ ქვლავ ერთპიროვნულად ლიდერობს სამტრედიის „ლოკომოტივი" — 30 ქულა. მომდევნო მეორე-მესამე ადგილებზე არიან ბათუმის „კოტაიკი" — 27 და ერევნის „არაბკირი" — 25 ქულა.

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი.

საქართველოს კომპარტიის მაიაკოვსკის რაიკომი და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, რაიონის ყოფილი მთავარი ექიმი, რაისაბჭოს დეპუტატი, სკკპ წევრი

დავით პროკოფოვის ძე ჩიკვინიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ძველი ცოცხალი წინააღმდეგ

მეცხოველეთა ზეიმი თიანეთში

მეცხვარისა და მესაქონლის შრომა ბოლო როდია. ამიტომაც ყველა ვინც კი საზოგადოებრივი პირუტყვის ჯიგსა თუ ცხვრის ფარებს ფლობს და პატრონობს მთასა თუ ბარში, სათანადო პატივით სარგებლობს. მოწინავე მეცხოველეებს აჯილდოებენ, უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატად ირჩევენ. ძველთაგანვე ხალხმა არაერთი ლექსი და თქმულება შექმნა მათს გარჯასა და თავდადებაზე. თანამედროვე პირობებში კი საქონლთან დაკავშირებული კიკილ შრომამ ახალი ხარი და შინაარსი შეიძინა. ამის ერთ-ერთი მაგალითია მეცხოველეთა პატივსაცემად გამართული დღესასწაულობა. ასეთი ზეიმი ტრადიციულია თიანეთის რაიონშიც.

ამჯერად კულტურისა და დასვენების პარკი მასპინძლობდა მეცხოველის დღის ზეიმის მონაწილეებს. პარკის ტერიტორიაზე გაკეთებული ტრანსპარანტები გვაცნობს რაიონის მეცხოველეობის მიღწევებს, სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეებს. აი, ისინი— ქეთო ჯიმშიტაშვილი, ქსენია კოტოშაშვილი, ნაზო ბუხრაშვილი, მურად ჩარხოშვილი, გიორგი ხუციურაული, ეთერ წვეროშვილი, ნინო თურქიაშვილი და სხვები.

მეცხოველის დღისადმი მიძღვნილი მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა თიანეთის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ს. გონჯილაშვილმა. მოხსენება თემაზე — რაიონის მეცხოველეობაში 1980 წლის პირველი ნახევრის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები — გააკეთა პარტიის თიანეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. მერლანმა.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ამჟამად თიანეთის რაიონში გეგმით გათვალისწინებულზე საგრძნობლად მეტი ჰყავთ საქონელი და ცხვარი, აგრეთვე ფრინველი. შვიდ თვეში სახელმწიფოს მიეყიდა წლიური გეგმით გათვალისწინებული ხორცის საერთო მოცულობის 64,5 პროცენტი, რძის—78,6 პროცენტი, კვერცხის —75,9 პროცენტი, მატყლის— 53,4 პროცენტი. რაიონში მეცხოველეობის და საერთოდ სახალხო მეურნეობის შემდგომ მძლავრ აღმავლობას დასაბამი მისცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის დადგენილებამ „თიანეთის რაიონის სოციალურ-კონომიკური განვითარების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ". მას შემდეგ სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად მილიონობით მანეთის სამშენებლო სამუშაოები შესრულდა.

მიტინგზე გამოსულმა სამეურნეო მუშაკებმა და მოწინავე მეცხოველეებმა პირობა დადეს, რომ ყველაფერს იღონებენ მატერიალური დოვლათის გამრავლებისა და სამთო მეცხოველეობის აღმავლობისათვის და ახალ მიღწევებს უპატიებენ სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობებს.

აქვე კომკავშირელ ახალგაზრდებს გადაეცათ საგზურები მეცხოველეობის ფერმებში სამუშაოდ. მოწინავე მეცხოველეები დაჯილდოვდნენ საგელითა და ფასიანი საჩუქრებით. ჭარტიის თიანეთის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა მომდინარე წლის პირველ ნახევარში მეცხოველეობაში საუკეთესო შედეგებისათვის მიეკუთვნა ახალსოფლის საბჭოთა მეურნეობას.

მეცხოველეთა ზეიმი სახალხო დღესასწაულად გადაიქცა.

ბ. ხახიური.

თითოეულის ყურადღების საგანი

ქართველი ხალხი საუკუნეების მანძილზე ქმნიდა სულიერი და მატერიალური კულტურის მნიშვნელოვან ძეგლებს, რომელთაც სპეციალური ადგილი მიეკუთვნით მსოფლიო კულტურის საგანძურში.

უკანასკნელ წლებში გაიზარდა მატერიალური კულტურის ძეგლებისადმი, ისტორიულ-რევოლუციური ადგილებისადმი მზრუნველობა, გაფართოვდა შრომითი და საბრძოლო დიდების რეალიზიების პოპულარიზაციის საქმე.

წალენჯიხის რაიონში ამჟამად 23 ისტორიული ძეგლია აღრიცხული, მათ შორის არის XII საუკუნის ციხიანი წალენჯიხის მაცხოვრის ტაძარი, მდიდრულად მოჩუქურთმებული და მონუმენტალური. ერთი მათგანი საკუთრ დანიშნულებისაა, მეორე კი თავდაცვითი; ორიგე ძეგლი V-VI საუკუნეებით თარიღდება და ისინი მაღლობიდან დღესაც ამაყად გადმოყურებენ სოფელს. სქურის კონუსისებური კოშკი XIII საუკუნის ძეგლია და იმით არის თავისებური, რომ აშენებულია განსაკუთრებულ პირობებში, დიდი ლოდებით (თითოეული მათგანის წონა რამდენიმე ტონა იქნება).

დაბა ჯვარში 4 ისტორიული ძეგლია. იქ ამჟამად შენდება ენგურჰესის გიგანტური კაშხალი; ორი—„გუბანა" და „ომუნა" ციხესიმაგრეებია. ფრიად საინტერესოა სოფელ ფახულაშვილში ენგურის ნაპირას შემორჩენილი ციხე-კოშკი „საქვამაია". ისტორიული წყაროების მიხედვით იგი 200 წლის წინათ უნდა იყოს აშენებული.

სიძველეთა დაცვის საკითხის წინა პლანზე წამოწევას დიდი სარგებლობა მოაქვს. ამ მიმართულებით ამ ბოლო წლების მანძილზე ჩვენს რაიონშიც ბევრი კარგი საქმე გაკეთდა. ასეთ ღონისძიებებში ჩაბმულია საზოგადოებრიობა. კულტურის ძეგლთა მოვლა-დაცვით დაინტერესდნენ სოფლის თავკაცებიც. განსაკუთრებით ითქმის ეს ობოჯზე, სადაც ზარშან სასოფლო საბჭოს სესიამ სპეციალურად იმსჯელა ძეგლთა დაცვის საკითხებზე.

ძეგლებს გულმოდგინედ უვლიან სოფელ ჯვალში, ლიაში, ჯვარში, ფახულაანში და, ცხადია ამ ღონისძიებებს ხელმძღვანელობს ძეგლთა დაცვის საზოგადოების რაიონული საბჭო, რომელმაც მოკლე ხანში მეოთხედ მოაწყო კულტურის ძეგლთა მოვლა-დათვალიერების კვირეული.

კულტურის ძეგლთა დაცვის რაიონული საბჭო თავის მუშაობაში ეყრდნობა პირველადს ორგანიზაციებს, აქტივისტთა ფართო წრეს, რომლებიც საზოგადოებრივ საწყისზე სწავლობენ კულტურის ძეგლებს, იცავენ მათ. ამ ოთხიოდე წლის მანძილზე პირველად ორგანიზაციათა რიცხვი 22-ით, ხოლო საზოგადოების წევრთა რიცხვი 2000-ით გაიზარდა. ამჟამად 80 პირველადს ორგანიზაციაში 7000-ზე მეტია წევრია.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოების რაიონულმა საბჭომ მოაწყო კულტურის ძეგლთა თვითმოქმედი მუზეუმი-გამოფენა კონცერტ სქურის მიდამოებში. ექვსოთახიან „კაპიტალურ ნაგებობაში გაიხსნა მუზეუმი და მოთავსდა საზოგადოების რაიონული საბჭო.

დიდ ყურადღებას იჩენს ჩვენ-დამი საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება. კულტურის სამინისტროს და ძეგლთა დაცვის საზოგადოების დახმარებით ზარშან შეკეთდა წალენჯიხის მაცხოვრის ტაძარი, ამჟამად მიმდინარეობს მისი გადახურვა.

შ. ლუკავა,
ძეგლთა დაცვის საზოგადოების წალენჯიხის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე.

გვიმრავლოს...

✦ ✦

ისინი იცავენ ეროვნულ კულტურას

გელათის უნიკალური არქიტექტურული ანსამბლი მსოფლიო ძეგლთა კატალოგის ოქროს ფონდშია შეტანილი. ამ საოცრად წარმტაც ძეგლთა კომპლექსისადმი არაერთი ხოტბა მიუძღვნია მრავალ მკვლევარსა თუ მოგზაურს.

გელათის არქიტექტურულ ანსამბლს დიდი ხანია იცავდა და იცავს ჯანგვაძეების შთამომავლობა.

ჯერ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ჯანგვაძე უვლიდა მეთორმეტე საუკუნის ამ „მეორე ცის მსგავსად აღმართულ წმინდა ტაძარს". როდესაც იგი მოხუცდა და აღარ შეეძლო ძეგლ-მუზეუმის მოვლა, ეს მისია მისმა შვილმა კონსტანტინემ იკისრა. მათ ესმით ჩუჩუული გელათის განუმეორებელი ფრესკებისა, ისინი თაობიდან თაობას გადასცემენ ლეგენდას დავით აღმაშენებლის ანდერძის შესახებ.

გელათში ხშირად ნახავთ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ ტურისტებს. დიდი გულისხმიერებით ეგებება კონსტანტინე ჯანგვაძე ყოველ მათგანს, გატაცებით ესაუბრება გელათისა და იყალთოს აკადემიებზე.

კონსტანტინე ჯანგვაძეს მრავალი სქელტანიანი რვეული აქვს შემონახული. შორიდან მოსულთა გრძნობებია ჩაქსოვილი ამ რვეულებში. საფრანგეთის დელეგაციას ჩაუწერია: „ვუსუფრებთ გელათს, და განცვიფრებას ვერ ვმალავთ. რაოდენი სილამაზე, მონუმენტურობა ჩაუქსოვიათ ძველ ქართველ ხუროთმოძღვრებს თავიანთ შედევრში, თუმცა ეს შემთხვევითი არ არის. იგი რუსთაველის მხარეს ამშვენებს".

ინგლისელები კი ასე წერენ: „გელათის ნახვა ადამიანს აკეთილშობილებს. იგი არა მარტო დღის შუქზე გაოცებს, ზღაპრულ შთაბეჭდილებას ახდენს მთვარიან ღამეშიც. ჩვენ გვქონდა ბედნიერება, გელათის გრანდიოზული ანსამბლის ეზოში გაგვეთია ღამე და დავმტკბარიყავით ამ დიდი ხელოვნების საოცრებით".

ერთხელ კონსტანტინე ჯანგვაძემ ქართველ მხატვრებს გაანდო ფიქრი: — მეოთხედი საუკუნეა დიდი სიყვარულითა და რუდუნებით ვუვლი გელათს და მის ტერიტორიას, ანდერძად მაქვს დატოვებული, მომავალშიც ჩემმა შვილებმა და შვილიშვილებმა გააგრძელონ ეს საპატიო საქმეო. ამაზე მეტი რა შეიძლება გააკეთო შენი ერის ისტორიის, მისი კულტურის ძეგლთა სასიკეთოდ.

გვიმრავლოს ასეთი მამულიშვილები, დაე, ჯანგვაძეების ოჯახივით ჩვენს უმთავრეს საქმედ მიგვაჩნდეს სვეტიცხოველის, კუმურდოს, ნიკორწმინდის, გელათის დაცვა და გაფრთხილება...

ს. ნაციაშვილი,
საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, დოცენტი.

● ●

სურათზე: გელათი.

ს. თევზაძის ფოტო.

არ მოვაკლოთ მზრუნველი ხელი

რაოდენ სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ძეგლების მოვლა-პატრონობა დღითი დღე უმჯობესდება. რაც დრო გადის, სულ უფრო იზრდება შეფი ორგანიზაციების რიცხვი. ესინი ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებენ. ასუფთავებენ ძეგლების ტერიტორიას, ნარგავებით ამწვანებენ მიდამოს და ა. შ.

თავიანთი შრომითი საქმიანობით განსაკუთრებით გამოირჩევიან შემდეგი შეფი ორგანიზაციები: კიბერნეტიკის ინსტიტუტი, ფინანსთა სამინისტრო, კვების მრეწველობის სამინისტროს სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო; უმაღლესი სასამართლო, პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ელექტრომაგალითებელი ქარხანა და სხვ.

აღნიშნული დაწესებულებების ძეგლთა დაც